1993

# რაღა ვართ ქედგაუხრელნი?!



# დროშა

ISSN 0130 — 1624

აპრილი
№ 4 1993



ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი

# გაზაფხული

დღეს მერცხალი შემოფრინდა,
ჭიკჭიკითა გადმომძახა:
„გაზაფხული! გაზაფხული!“
გულს იმედი დამესახა.

მივდექ სარკმელს, გადვიხედე,
არემარე მესხვაფერა!
სახოებამ ფრთა გაშალა,
გულსა მკრა და ამიძგერა.

სუნი მეცა გაზაფხულის,
უცნაური ვიგრძენ ძალი...
ვსთქვი თუ: „გულსა რაღად ვიტეხ?
ახლოს არის მომავალი!

„მოვესწრები, რაც მინდოდა
ზამთრისაგან დაჩაგრულსა.
ვნახავ ქორწილს ბუნებისას,
გავიგონებ მის მაყრულსა.

„დავჰნოს ვარდსა გადაშლილსა,
ვუჭვრეტ ნაზად დახრილ იას
და ბულბულიც გამაგონებს
მისებურად „ტია, ტიას!“

(1881, 1 მარტი).



№ 4, აპრილი, 1993 (673)

# დროშა

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

დამფუძნებლები:
მწერალთა საერთაშორისო გაერთიანება „პ. ე. ნ. კლუბის ქართული ცენტრი“ და ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“

შინაარსი:

მამუკა ცეცხლაძე. რადა ვართ ხელგაშვერილნი?
ნიკო ლორთქიფანიძე. ტრაგედია უგმიროთ.
გიორგი ჩარკვიანი. ახალი ლექსები.
ნუნუ მაღრაძე. „ეჰა, ამ დღისთვის გაგიზარდე, მამულო, შვილი“...
ჯემალ მეხრიშვილი. დარებს ვეშურებით.
ნუნუ კუპრეიშვილი. მივდივარ და დარდი მიმაქვს...
თოთია გიგაური. ლექსები.
ბიძინა კარდენახიშვილი. პური სულის არსობისა.
ამირან ცამციშვილ-ფიცხელაური. კიდევ ერთი ვარაუდი.
იაპონელი პოეტები.
კარლო კობერიძე. ზღაპარი ხელმწიფისა და ჭაღარისა (მოთხრობა).
ლამარა კიკილაშვილი. „ქუჩაბანდიდან პროსპექტამდე“...
ქეთრინ მენსფილდი. მტრედები (თარგმანი).
იური ვაჩნაძე. ფრენკ სინატრა.
კროსვორდი.

●

სარედაქციო კოლეგია:

ჯანსუღ ჩარკვიანი — თავმჯდომარე, გულნარა ბახტაძე (პასუხისმგებელი მდივანი), აკაკი ბაქრაძე, ვასილ გვეტაძე, თედო ნინიძე, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ელდარ შენგელაია, ზურაბ წერეთელი, თამაზ ბილაძე, ნოდარ ჯაველიძე.

მამუკა ცეცხლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რაღა ვართ ქართველები?!

ასეა ალბათ ყველგან, ყველა ყოფილ კოლონიაში — ჯერ „ხელმოცარულები“ ეკვეთებიან ხოლმე „ეგრეთწოდებულებს“, მერე ეგ ეგრეთწოდებული ეგრეთწოდებულები გამოიღებენ ხელს, მოიხედავ და ქვეყანა, სადაც შიმშილით თითქოს მართლა არავინ კვდებოდა, უკვე ხელგაშვერილია და — „ჩვენთან არს ღმერთიო“ — გაიძახის, ვერ გაიგებ, ეშმაკებს აშინებს ამით, თუ თავის თავს უნდა შემოუძახოს.

ძველია ეს ამბავი, არახალი — წამსვლელს როცა წასვლა არ უნდა, „ნამუსის ქუდი“ დარჩება შენთან სადმე, ვითომ შემთხვევით, უკან მოსაბრუნებელი მიზეზი და საბაბი რომ არ გამოილიოს და „წავა, რათა დარჩეს“. ყველა მედალს ამ ქვეყნად თავისი ორი მხარე მოეპოვება და, ყველა სხვა შემთხვევაში, ესე ყოველიც ორნაირად შეიძლებოდა ალბათ განგვეხილა — იმპერიის მოდერნიზაციის მცდელობადაც და მეტროპოლიის პასუხისმგებლობადაც თავისი ყოფილი კოლონიების მიმართ; გააჩნია, რომელ გზას მივანიჭებდით უპირატესობას ადამიანთა საზოგადოების განვითარებისას — რევოლუციურს და ღვთის გარეგანს, თუ ევოლუციურს და, ესე იგი, ღვთისნიერს. „განგებასა ვერვინ შეცვლის, არსაქნელი, არ იქნების“, საქნელისა კი ღვთისნიერი გზით ქმნა აჯობებდა, ცხადია, ამ ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაშიც, მაგრამ...

ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ვითარებას ის გარემოება ართულებს, რომ იმპერია, რომელიც ეს-ეს არის დაინგრა, თუ ინგრევა, ყოვლად უპრეცედენტო, არსებითად უმეტროპოლიო იმპერია გახლავთ. „ბოროტების იმპერია“ უწოდა ამ იმპერიას რონალდ რეიგანმა, „მოჩვენებების სამყაროო“ — დაახლოებით ასე ახასიათებდა აწ განსვენებული მერაბ მამარდაშვილი, „დაბრკოლებებს იგონებენ წამდაუწუმ და მერე თვითონვე გმირულად ცდილობენ ამ დაბრკოლებების დაძლევასო“ — ამბობდა დე გოლი, ხალხური სიბრძნე კი, მოგეხსენებათ, ასე სჯიდა: „უტიფარი ფრაერი ტანკზე უარესიაო“. ერთსა და ერთადერთ პარტიას და ამ პარტიასთან დაკავშირებულ საზოგადო სტრუქტურებში ნებსით თუ უნებლიედ ჩართულ, მეტ-ნაკლებად ხელმომართულ საზოგადოებას უკავია, თუ ეკავა აქ იმთავითვე მეტროპოლიის ადგილი. იავარქმნილი რუსეთის იმპერიის კანონიერ სამართალმემკვიდრეებს „უფროსი ძმის“ პრესტიჟული ტიტულით აკმაყოფილებდნენ, სხვები, ყველანი, „უმცროსი ძმები“ ვიყავით ამ „ერთიანი, ძმური“, კოლონიური „ოჯახისა“, ჩვენი „მამები და მასწავლებლები“ კი იმ „უტიფარ ფრაერთა“ მეტროპოლიაში იყრიდნენ თავს, რომელიც „ტანკზე უარესი“ იყო. ამ მეტროპოლიას, ცხადია, არაფერი აქვს საერთო ამ პარტიის მესაძირკვლეებთან — არც მათს უტოპიურ შეხედულებებს იზიარებს და არც მათს მიერ ჩადენილ არნახულ ძალადობაზე აგებს პასუხს, მაგრამ მომავლის წინაშე მაინც ამ საზოგადოებას ეკისრება, უწინარეს ყოვლისა, პასუხისმგებლობა ყველაფერზე და იგი, როგორც ყველა ვხედავთ, არამცთუ გაურბის, არამედ თავგადადებული იბრძვის კიდეც ამ პასუხისმგებლობისათვის. არც ამ გარემოების ერთმნიშვნელოვანი შეფასება იქნებოდა ალბათ სწორი და მართებული დღეს, როგორიც არ უნდა იყოს ეს შეფასება — უარყოფითი, თუ დადებითი.

მაზანდას ბაზარში მყიდველი და გამყიდველი კი არა სწევს მაღლა ინფლაციამდე, არამედ გადამყიდველი, ერთდროულად რომ არის მყიდველიცა და გამყიდველიც. იქ, სადაც მყიდველი მეტია, ვიდრე გამყიდველი, ბუნებრივია, რომ გადამყიდველი აწესრიგებს მდგომარეობას. საბაზრო ეკონომიკის ბუნებრივი, ევოლუციური განვითარება მეტ-ნაკლებად მხარნაქცევია და ხარვეზიანი ყოველთვის ნებისმიერ კოლონიაში, მაგრამ ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, ყველა სიკეთესთან ერთად, „აკრძალულ ხილადაც“ გამოცხადდა ესე ყოველი ამ საუკუნის დასაწყისში და ამ თვალსაზრისით, საბაზრო ეკონომიკისაკენ გადადგმული ყოველი ჩვენი ნაბიჯი დღესდღეობით, ერთსა და იმავე დროს, დროში უკან დაბრუნებასაც ნიშნავს და სამართლიანი საზღაურიც არის ჩვენივე ცოდვებისა გამო — მომხრენი ვიყავით, თუ მოწინააღმდეგენი, ყველამ ერთხმად რომ ვაღიარეთ, როგორც ფაქტი, რევოლუცია, რომელიც სინამდვილეში არ მომხდარა და არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან ღმრთის უნებური წამოწყება გახლდათ და, ესე იგი, „ცოცხალი ტყუილი“.

ეკონომიკა, ბოლოსდაბოლოს, საბაზრო იყო ყოველთვის, როცა კი ეკონომიკა იყო, მაგრამ ვაჭრობას (რომ არაფერი ვთქვათ ქურდობაზე და იმაზე, რაც ქურდობასთან ერთად მიიჩნეოდა ყველაზე დიდ სირცხვილად ჯერ კიდევ სულ ამ ცოტა ხნის წინათ) ტრადიციულად მაინც „სირცხვილად“ მიიჩნევდნენ ყველა, ან თითქმის ყველა ქვეყნის აბორიგენები — ვაჭრობა ყველგან „მოსულთა“ ხელობა გახლდათ. თქმა არ უნდა, საბაზრო ეკონომიკა ყოვლად ბუნებრივად და, ესე იგი, ევოლუციურად და ღვთისნიერად ვითარდებოდა ყველა ქვეყანაში ცივილიზაციის განვითარებასთან ერთად და კვალობაზე და ნებისმიერი ქვეყნისა და ხალხის სწორედ ცივილიზებულობის ყველაზე უტყუარი მაჩვენებელიც სწორედ ეს არის, მაგრამ ამავე ცივილიზაციის ფარგლებში ყველა, ან თითქმის ყველა ქვეყანასა და ხალხს ისტორიულად გამომუშავებული აქვს, უწინარეს ყოვლისა, აი, სწორედ ამ „სირცხვილისაგან“ თავდაცვის თავისი საკუთარი, სარწმუნოებრივი, მისტიკური, თუ მესიანისტური თეორია, განსაკუთრებული სიმძაფრით სწორედ მაშინ რომ საცნაურდება ყოველთვის, როდესაც ეს ხალხი და ქვეყანა აშკარა და გარდაუვალი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება ხოლმე და მისი ხსნის ერთადერთი გზა და სახიდებელი „საბაზრო ეკონომიკაა“. საბაზრო ეკონომიკა, თუ თანამიმდევრულნი ვიქნებით, თავისთავად ნიშნავს ამ ქვეყნისა და ამ ხალხის ეროვნული მეობის უარყოფას თუ არა, საგრძნობლად უგულებელყოფას მაინც და იმიტომ. ბუნებრივია ისიც, რომ მცირერიცხოვანი ხალხები და ერები ყოველთვის უფრო მტკივნეულად განიცდიან ამ ამბავს, ვიდრე მრავალრიცხოვანნი, მაგრამ პრობლემა თავისთავად საყოველთაოა. ეს ურთულესი, ჩემი აზრით, წმინდა

40310

წყლის ფილოსოფიური პრობლემა, თავისი მნიშვნელობით, დიდად სცილდება ჩვენი დღევანდელი, კონკრეტული პოლიტიკური გაწამაწიის პირობითობებს, მაგრამ უეჭველად მოიცავს ამ პირობითობებსაც და სწორედ დღეს არ ეგების ამიტომ ყოველივე ამის გაუთვალისწინებლობა. ცივილიზაცია, ბოლოსდაბოლოს, მიწყივ „გადაუბირებელ“ ადამიანებთან ჭიდილში იკაფავდა გზას, მაგრამ არც იმ „უბირთა“ სულისკვეთების სათანადოდ გაუთვალისწინებლობა უჯდებოდა მთლად იაფი, როცა კი ამას არ იქმოდა. „უბირნი“ ყოველთვის უფრო თავიანთ „გენეტიკურ ხსოვნას“ და ეროვნულ გამოცდილებას ეყრდნობიან, ცივილიზატორები — „შორეული ცის სილაჟვარდეს“ და ზოგადკაცობრიულ გამოცდილებას. ერთიმეორის გარეშე, არცერთი არ უქნია ღმერთს!

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ჩვენს პირობებში, დღეს, ცხადია, სწორედ იმ გადამყიდველების, ანუ გუშინდელი „კრიმინალების“ განსახორციელებელია, უწინარეს ყოვლისა, და რა გასაკვირია, რომ ჩვენი სასოებაც ამ მხრივ ამ ადამიანთა მეტნაკლებად ინიციატივიან მოქმედებას ემყარებოდეს, მაგრამ ყოფილი „ჰომო სოვიეტიკო“, რაკიღა ერთხელ უკვე გაუფუცქვნა გემო, კიდევ ძალიან დიდხანს მონატრებს ალბათ იმ „ალალსა და უსაყვედურო“, ყოველთვიურ ას მანეთს, რომელიც არსებითად არაფრის კეთებაში ეძლეოდა და რითაც მას ეს ჩვენი ბედკრული საბჭოური სოციალიზმიც კი უზრუნველყოფდა, ასე იყო, თუ ისე. ზოგი მგლისკენ და ზოგიც ცხვრისკენო, უთქვამთ და ასე თუ არ შევხედეთ ჩვენც დღეს ამ ჩვენს ყოვლად აბსურდულ ყოფას, ვერასოდეს გავიგებთ ალბათ, თუ რატომ და როგორ აღმოვჩნდით ასე ანაზდად და უმისამართოდ ხელგაშვერილნი სწორედ მაშინ, როდესაც გვეგონა და გვგონია, რომ ჩვენი კეთილდღეობის გზაზე აღმართულ ჯებირებს ვანგრევდით და ვანგრევთ.

უწინარეს ყოვლისა, ეს უნდა ვიკითხოთ ალბათ — რაში გვეძლეოდა მაინც ის „ალალი და დაუყვედრებელი“ ასი მანეთი? ამ კითხვის ყოვლად ერთმნიშვნელოვანი პასუხი, თუ გულზე ხელს დავიდებთ, ასეთია — იმაში, რომ საკუთარი ინიციატივით არავის არაფერი გვეკეთებინა. იმათ, ვინც ამ ჩვენს საყოველთაო არაფრის კეთებას უზრუნველყოფდა, მეტი ეძლეოდათ და მეტი გვეძლეოდა, ესე იგი, ყველას, იმისდა მიხედვით და კვალობაზე, თუ ვინ რამდენად და როგორ უზრუნველვყოფდით ამ ჩვენსავე სანუკვარ არაფრის კეთებას. „სხვაგვარად მოაზროვნეებს“ კი — იმათ, ვინც ჯიუტად ცდილობდნენ, გინდა თუ არა, მაინცდამაინც საკუთარი ინიციატივით ეკეთებინათ საქმე, ვითარცა „ხალხის მტრებსა“ და გამოუსწორებელ დამნაშავეებს, ან ძალით აკეთებინებდნენ ამ საქმეს სხვადასხვა რეჟიმის საპყრობილეებში, ან საერთოდ ისტუმრებდნენ ამ ქვეყნიდან. „ხალხთა საპყრობილე“ ამგვარად — (რომლის გადარჩენაც მისგანვე თავდახსნის გზით თავს იდვა ვითომ ლენინმა კაკი წერეთლისადმი ნატყორცნი თავისი საყოველთაოდ ცნობილი შეძახილით — „არის ასეთი პარტიაო“) — საქმე საქმეზე რომ მიდგა, ცალკეული ადამიანების საპყრობილედაც იქცა; ნებისმიერი საპყრობილე კი, მოგეხსენებათ, რომ ქურდებისაა. ყველა დროისა და ყველა ხალხის ყველაზე რადიკალი „სხვაგვარად მოაზროვნეები“ ხომ სწორედ ქურდები არიან! ეს გარემოება ყოვლად თვალსაჩინო დასტურია, სხვათაშორის, ქრისტიანულ მრწამსში გაცხადებული იმ ყოვლად შეუვალი ჭეშმარიტებისა, რომ ბოროტი საერთოდ არ არსებობს ამ ქვეყანაზე და ბოროტება სხვა არა არის რა, თუ არა „სიკეთისაგან მოკლება“. ქურდის ქურდი ცხონდაო, მოგეხსენებათ და იქ, სადაც უზენაესი კანონის ადგილს „ცოცხალი ტყუილი“ იჭერს, „სხვაგვარად აზროვნებაა“ უპირველესი სათნოება და, უწინარეს ყოვლისა, რაღა თქმა უნდა, რომ სწორედ ქურდი იმოსება „რომანტიკული გმირის“ შარავანდედით. სსრკ-ში წლებისა და ათწლეულების მანძილზე ერთადერთი საზოგადოება, რომელსაც თავისი კანონი ჰქონდა, განუხრელად ახორციელებდა ამ თავის კანონს, თავად ცხოვრობდა ამ კანონში და კანონით, ქურდული საზოგადოება გახლდათ. ყველა სხვა კანონი ნებისმიერ საფეხურზე, ყოვლად თვითნებურად ირღვეოდა სწორედ იმათ მიერ, ვინც ამ კანონებს აკანონებდა და მერე თავადვე კისრულობდა მათს აღსრულებას.

ქართული ენა ყველა ენის საიდუმლოს ინახავსო, წერილ არს; ყველა ენისა და ყველა საიდუმლოსი რა მოგახსენოთ ამჯერად, მაგრამ ქრისტიანული მრწამსის აი, ამ კონკრეტულ საიდუმლოს, რომლის თანახმადაც ბოროტება სიკეთისაგან მოკლებაა, ანუ — მეორენაირად — „ცოცხალი ტყუილი“, მართლა ყოვლად თვალსაჩინოდ ინახავს ქართული: „სიკეთე“, ეს სიტყვა, „კეთებადან“ წარმოსდგება ქართულში და ამისი ყოვლად კანონზომიერი ანტონიმია, უწინარეს ყოვლისა, „სიფუჭე“, ანუ გაფუჭება, ამაოდ ყოფა იმისა, რაც უკვე გაკეთებულია და, ესე იგი, კეთილი.

ღმერთი არ არისო, რომ გამოაცხადებ და მოყვასის სიყვარულის უზენაესი კანონის შეჩერებას მოინდომებ, შეიძლება კიდეც დაგიჯეროს, ჭაში ჩავარდნილი კაცისა არ იყოს, ბედკრულმა ხალხმა და საზოგადოებამ, მაგრამ ადამიანის სასოება ქვეშეცნეულად მაინც ყოველთვის იქითკენ მიიკვლევს გზას, სადაც კანონმდებელი ემორჩილება კანონს და არა წინაუკმო. თავზარდამცემია თავისთავად ეს ამბავი, მაგრამ ასეა და უნდა ვაღიაროთ ალბათ, რომ ქურდული საზოგადოების სუფევა — კანონიერი ქურდული საზოგადოებისა! — უეჭველად პროგრესული მოვლენა იყო სსრკ-ში, მიუხედავად მთელი თავისი სისასტიკისა. ქურდის ქურდი ცხონდაო, ეს ხალხური სიბრძნე, ასე ითარგმნებოდა და გამოითქმებოდა სსრკ-ში — „მთავრობას პარავს, შენ ხომ არა, რას ერჩიო“. ცხადია, შენცა გპარავდა და მერე როგორ გპარავდა ის ქურდი, მაგრამ თანამგრძნობი ხდებოდი ძალაუნებურად მისი, რადგან იგი, უწინარეს ყოვლისა, მთავრობას პარავდა. იმ მთავრობას პარავდა, რომელიც „სიკეთისაგან მოკლებული“ გახლდათ და, კაცმა რომ თქვას, არცერთი დღე არ უარსებია (შეუძლებელი იყო, რომ ეარსება, რადგან იმთავითვე „ცოცხალ ტყუილზე“ იყო აშენებული) ისეთს, როგორადაც თავი მოჰქონდა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დამთავრდა ეს ამბავი — ხალხო, პატიოსანო! რომანტიკა დამთავრდა, ქურდულიცა და არაქურდულიც, სინამდვილეს უნდა გავუსწოროთ ახლა ყველამ თვალი! ისევ ის ძველი, უზენაესი კანონი უნდა ვაღორძინოთ მოყვასის სიყვარულისა! უნდა გავიხსენოთ, რომ „ღმერთი არს სიყვარული“ და იგი ჩვენთან კი არ არის, არამედ ჩვენს შორის არის და არცერთი „ცალკე აღებული“ ჩვენგანი და არც „ერთი, ცალკე აღებული ქვეყანა“ არ შეიძლება და არ უნდა იყოს აღარასოდეს ღმერთი! საბაზრო ეკონომიკას დღესდღეობით არავითარი ალტერნატივა არ გააჩნია, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვაჭრობა (რომ არაფერი ვთქვათ ქურდობაზე და იმაზე, რაც ქურდობასთან ერთად მიიჩნეოდა ყველაზე დიდ სირცხვილად ჯერ კიდევ სულ ამ ცოტა ხნის წინათ) მაინც „სირცხვილია“ და არ ეგების ყველასი და ყველაფრით ვაჭრობა!

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტრაგედია უგმიროთ



ნიკო ლორთქიფანიძე

შეუგნებლად გაერიდა ბავშვების სივილს — გამოვიდა ქოხიდან... გადაიარა ეზო... უგზო-უკვლოდ მიდიოდა. სადღაც ყანაში ჩამოჯდა ქვაზე. ერთი ფიქრიც არ ჩნდებოდა თავში... ცალ-ცალკე სიტყვები გაიელვებდნენ ნაპერწკალივით: „ჭადი“, „ბავშვები“, „ხარი“... ისევ ადგა, ჯერ შარა-გზას გაყვა, მერე ორღობეში შეუხვია: დაუძახა ვიღაცამ, მობრუნდა.

— გუშინწინ რომ მთხოვე ფქვილი, ღმერთია მოწმე, არ მქონდა, აი დღეს ქე მაქ ცოტა, და ნახევარ ჯამს გიზიარებ... ოღონდ არ დამღუპო — იმ პარასკევს უნდა დამიბრუნო.

— მომეცი! — მოკლეთ მოუჭრა და ღობეს მიადგა.

— ამ ტოპსიკას ნუ გამომიგზავნი, მე თვითონ წამოვიღებ.

ადგილიდან არ იძროდა და ხმასაც არ იღებდა.

— რა დაგემართა, კაცო?

— არაფერი!

— ნუ გეშინია, ღმერთი მოწყალეა, ჩვენკენაც მოიხედავს...

ნელა შემობრუნდა, უხმოთ მოშორდა მოხუც დედაკაცს — თავის ნათლიას, რომელიც გულში ფიქრობდა: შენი მტერია ეს ნახევარი ჯამი ფქვილი კი დავკარგე... მარა ჩემი რძალი მაინც არ გაიგებდეს... რას უშველის, საწყალს, ნახევარი ჯამი? ეხ, ღმერთო, ღმერთო!

*

— მამა, ფქვილი მოიტანე? — ასხრიალდნენ ბავშვები.

— გვაჭმევ?

— კი, შვილო, კი, ბიჭო, — ეუბნებოდა ხან ერთსა და ხან მეორეს.

ბავშვებს უთქმელათ მოჰქონდათ ფიჩხი, ანთებდნენ ცეცხლს, აწყობდნენ და ასწორებდნენ კეცებს.

მამამ წუთში მოზილა ცომი და გავარვარებულ კეცებს დააკრა. ბავშვების მოუთმენლობამ მოაგონა, რომ კარგი იქნებოდა ჭადების გამოცხობამდი მათი თავიდან მოშორება.

— აბა, ბიჭებო, წადით, და ბიცოლა ეფროსინეს ოხრახუში გამოართვით — ბევრი აქვს, მოგცემსთ...

ბავშვები გაიქცნენ.

ჭადის სუნმა მამაც აიტაცა. კეციდან ჭადი აიღო, გატეხა, გასაგრილებლად დაბერა და „გასასინჯათ“ ლუკმა პირში ჩაიდვა, მთელ სხეულს გაუზომელი მადა აღეძრა...

მეორე ლუკმა...

სწვავდა ენას და მაინც სჭამდა.

ბავშვები შემოვარდნენ.

— მომეცი, მამა!..

— მეც!..

— გადით, თქვე გასაწყვეტლებო!

— მამა, მამა!!..

— მამა, ერთი ლუკმა!

ბავშვები ცალი ხელით მილახა და ლაფაროში გაყარა. იქედანაც თვალზე ცრემლშემხმარი ბავშვები ძაღლებივით კნაოდნენ და იძახდნენ:

— მამა, გვაჭამე!

ყურადღებას არ აქცევდა. მერე ერთიანათ ჩაიმუჭა პირში ბავშვების მიერ მოტანილი ოხრახუში და წავიდა... გადავიდა ტევრში... მიწვა... კარგახანს ისვენებდა გარეტიანებული, თვალგახილული, მთვლემავი.

წამოიწია, დაჯდა.

ბავშვების სივილი მოაგონდა..

მე შევჭამე...

ბავშვებს არაფერი ვაჭამე...

ღმერთო, რა მომივიდა?...

სირცხვილი!.. ხალხს რაღა ვუთხრა?!. ვაი თუ დაიხოცენ...

ადგა, მივიდა ბავშვებთან...

შეტრუსული ბუოლის ძირში მიგდებულიყვნენ... ეძინათ... მამა მიუწვა. ცრემლი შეჩერებოდა წამწამზე. თავს იკავებდა; არ გავაღვიძო მაინც რა ვქენი, რა ვქენი! დედა ხომ არ იზამდა!!!

უმცროსს გამოეღვიძა. გაუკვირდა. ჩააჩერდა მამას.

— მამა!... — წყნარათ დაიწყო ბავშვმა.

— რა, შვილო? — ნაზათ უპასუხა.

— მთლად შეჭამე?

— !!

— მამა, ცოტა იქნებ დაგრჩა — მომეცი... მუცელი მტკივა — არ გაგამხელ...

მამას ზლუქუნი წასკდა.

პატარა ბავშვსაც გაეღვიძა „მშია, მშიას“ ძახილით...

მამა წამოიჭრა, ეზო გადაირბინა. ვენახში მოხვდა. გაბმული ცხვარი სძოვდა. ახსნა. გავიდა, ხეზე დაჯდა. ბაწარი ტოტს მაგრათ მიაბა, მარყუჟი გამოსკვნა მეორე ბოლოში, გაშინჯა — კისერზე თუ მომიჭერსო, და...

*

კეთილი, ბებერი ნათლია იფოფრებოდა: — ღმერთო! ღმერთო! რა დროს მომასწარი!.. რა საცოდაობა დატრიალდა.. ვინ მოუვლის დამშეულ ობლებს?!

— რაღა ჩემს ვენახში, ჩემი კარის უკან, ჩემი ბაწრით ჩამოიხრჩო თავი ამ ოჯახქორმა! — ბრაზობდა და იწყევლებოდა მეზობელი, რომელსაც ამ შემთხვევის გამო ვინ იცის, რა მოელოდა..

1919 წ.

გიორგი ჩარკვიანი

# ლექსები

## ნოდარ თარხნიშვილს

ვეღარცერთ გოგოს ვერ შეიყვარებ,
არც ჩხავის ყორანი, არც ქარი
დაქრის...
მიუსაფარი კაცი იყავი,
როგორც თბილისის ბოჰემა, ჩაჰქრი.

აფრადაშვებული წავიდა გემი,
წაიღო ტვირთად ტანჯვის ლოდები.
ნარესტორნალი სარდაფი „გემო"
აღარც არის და ვერც დაგელოდება.

არ მახსოვს შენი ოხვრა ან მოხრა,
ვარამი მუდამ დაგიმალია.
შენი დაღუპვა უეცრად მოხდა,
ვის უდევს წილი? რისი ბრალია?

სულ ახლოს ხმაურობს ქუჩა უხეში,
ეზოში სარეცხი გაუფენიათ...
მითხარი, თავი რით ვინუგეშო,
ღვინის ცრემლებიც არ დამრჩენია.

## ზღაპარი

იმისთვის და იმის გამო,
თეთრი ნუში დაინამოს,
გარნა გარმიანულ გარმონს
ყურს ვუგდებდი იმ საღამოს.

აღმასვლა და გავაკება,
ოქრო-ვერცხლი სადა დევსა...
სანთლის გუთანს გავაკეთებ,
შიგ შევაბამ უღელ დევსა.

მეფეს შვიდი ვაჟი ესვა,
სუყველანი ლომებია.
მიწის ხვნა და პურის თესვა
არცერთს არა სდომებია.

ყველას სურდა მეფის ტახტი,
ღვინის სმა და ქალის კოცნა.
...იწყეს სროლა, ქნევა ლახტის
და... შვიდივე დაიხოცა.

აღარც სკიპტრა, აღარც ტახტი,
აღარც გოგო ალვისტანა...
და ქვეყანა აწ პარტახი
მტერს ჩაბარდა თანდისთანა.

თეთრი ნუში... მერე, მერე...
გარმონს მტვერი აფარია.
გამიგონე, დაიჯერე —
ზღაპარია. ზღაპარია.

## როდეო

გაუხედნავ ცხენზე ჯდომა ამერიკაში

ჯავრიან გზას ისევ მიყვები.
ასე ეკლიანი რად არის...
თავში კი ტრიალებს სიტყვები —
როდეო, რადიო, რადარი.

გახედნილ ფაშატზე ქროდეო —
უნაგირი და სადავე...
როდემდის ამდენი როდეო,
გიჟი ულაყები სადამდე.

ან ვინმე მაინც გხედავდეს
და გამხნევებდეს ხანდახან...
კეთილ ბედს რატომ შეედავე,
რატომ ბერდები თანდათან.

ვერც ოქრო, ვერც სპარსული
ნოხები,
ვერც ფული ვერ დაიგროვე;
ის სიყვარულიც ოხერი
ჯერ კიდევ ვერ გამოიგლოვე.

ვინ იცის, რამდენი იწვალე,
მთვარე ზეცაზე გახევდა...
ცივად მაინც ვერ ისწავლე
ცხენის (თუ ლექსის?) გახედნა.

ვერ გაექცევი, კრთოდეო,
ამ სენს — მუდმივს და გადამდებს...
ჭკუისშემშლელი როდეო,
მძვინვარე ცხენები სადამდე?!

## შემოდგომა

ისევ და ისევ დღე შემოკლდება,
შაქ ფანჯრებს მიღმა რთავენ
ნათურებს,
თავზე დაგატყდა ეს შემოდგომა —
დაუდგრომელი, მუხანათური.

საით წავიდე, ვისთან ვიომო,
ავკუწო დანით, ვახალო ტყვია...
ავყვე ჯიბგირებს, როგორც ვიონი,
თუ სახლში ვიჯდე უქმად და
ტყვილად.

იქნება გული კვლავ გამიხურდეს,
ვნახავ ძველ სატრფოს — ტურფას
და კნაჰას,
ჩამომჭკნარ მკერდზე ის მიმიხუტებს
და მერე ერთად ჩავცეცხლავთ ჰაჰას.

...მთვარეს კი ფარავს ღრუბლის
ნახევი,
და რაზე ვმალავ, გამოვტყდე
ბარემ, —
ხნიერ-ამაყი მზეთუნახავი
მე არ გამიღებს დაკეტილ კარებს.

ჰადრის ფოთლების ნელი კვდომაა,
სადღაც კატები კნავიან მშიერი...
წელგამართული შემოდგომაა,
ასე ლამაზი, ასე ცბიერი.

## ქარი

ქარო, ხეობაში დაბერე,
სატრფოსთან მოკითხვა დაგაბარო...
დავბერდი თუ უნდა დავბერდე,
ვენახი მაინც მსურს დავბარო.

თორმეტი ძერა მყივარი
სულ მაღლა ჰაერში ლივლივებს,
რიონი მთებს შუა მდინარი
იმეორებს ერთსადაიგივეს.

ზეცა — აბრეშუმის ლეჩაქი,
ადრეა, მზე ჯერაც არა ჩანს.
ეს ჩემი ლამაზი ლეჩხუმი
ცხოვრობდეს, ხარობდეს მარადჟამს.

ფიჭვები, წაბლები, მუხები —
ველურად გაზრდილი ხეები,
კლდეები ხელშეუხები,
წყალმოჩხრიალე ხევები...

ქარო, იალქანი გაბერე,
რამდენი ოხრობა გადამხდა...
მოკითხვას ვისთან გაბარებ,
ნეტავი სატრფო სადა მყავს.

არცერთი ქალი არ განიცდის
ჩემს გამოქცევას და დაკარგვას;
არცერთმა ტირილი არ იცის
და არც ვენახის დაბარვა.

თუმცა... ერთს რაღაცა აბორგებს,
მჭმუნვარეს ვერ გაეღიმა —
სიგარეტს ვეღარ აბოლებს,
რადგან აუკრძალა ექიმმა.

ვიწვები, როგორც აბედი,
და ვერც შემიყვარებს ვერავინ...
მე ვარ და ჩემი ნაბადი,
მე ვარ და ჩემი ვენახი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „ეჰა, ამ დღისთვის გაგიზარდე, მამულო, შვილი“...

ეს სიტყვები სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის, მისთვის თავდადების ერთგვარი გამოხატულებაა, მისი ხმა კიდით-კიდემდე აღწევს, ანთებს სამართლიანობისათვის ბრძოლის ცეცხლს, უხმობს გამომხსნელს და ისიც იცის — „შემცდარა, ვინც გულს იტეხს.“

„დავნატრი დროთა, როს აქვნდათ ტრფობა მამულისადმი გულს აღბეჭდილად“, ამბობდა პოეტი და...

ეს დრო ისევ დადგა.

სწორედ მამულისადმი გულს აღბეჭდილი ტრფობა უხმობს ჩვენს ლომგულ ბიჭებს მისი მთლიანობის დასაცავად.

იცავენ კიდეც. იცავენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

ასე მოგვდგამდა ოდითგანვე. ათასი ჯურის მტერი და გადამთიელი გვჯიჯგნიდა და გვიფორიაქებდა სულს.

თუმცა არ გავმტყდარვართ, სულით არ დავცემულვართ. იმიტომ რომ სნეული დედის გულში მებრძოლი ორი უდიდესი გრძნობა — შვილისა და სამშობლოს სიყვარული — განსაცდელის ჟამს ამ უკანასკნელის მხარეს იხრებოდა.

ამიტომ ლაპარაკობდა ასეთი მღელვარებით „ქართველთადმი ღვთიური ვალის“ შესახებ დიდი ილია, ამიტომ ათქმევინა დედას შვილისათვის: „ჩემის მამულისათვის მე ჩემს ძუძუს გაწირვებ, მისი სიკეთისათვის გაგწირავ და გაბრძოლებ“...

ბევრი უკვე შეეწირა თავის მამულს, მაგრამ უფრო ბევრი დარჩა, რომელიც აგრძელებს ბრძოლას, რომ ჩვენი ნატყვიარი და ნაიარევი სამშობლო მის შვილთა ვაჟკაცობითა და მხნეობით ამაღლდეს... მათ კარგად, იციან, რომ „სოფელი იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა, თუ ფუჭი მისი სიცოცხლე ვერა რას არგებს მამულსა!“

ეტყობა ქართული გენი ისევ ძალუმად მძლავრობს, ეს გენია ოცი წლის მიხეილ დათუნაშვილს რომ ათქმევინებს: — მარტო ჩემით და ჩემისთანებით არც იწყება და არც მთავრდება ეს ცხოვრება. დღეს თუ ცოცხალი ვარ, ხვალ შეიძლება აღარ ვიყო. ამით საქართველო ვერც ომს მოიგებს და ვერც დამარცხდება. ქართველი ერის ერთადერთი ხსნა მის მთლიანობაშია. ექოთ ვაჟკაცობა, ამოგვიდგნენ გვერდში რომ კიდევ ერთი ნაბიჯით წავიწიოთ წინ, რომ იმ ახალგაზრდა ბიჭის სიკვდილს აზრი ჰქონდეს. ყველას უყვარს თავისი ოჯახი, მაგრამ სამშობლოს სიყვარული, მაინც ყველაზე უფრო ძვირფასია. თუ თქვენ არ გაუშვებთ თქვენს შვილს, თუ მე არ გამიმეტებენ, თუ ის ხელს გადააფარებს თავისას, წარმოიდგინეთ წუთით მაინც, რა მოხდება... მაშ ვილამ დაიცვას ჩვენი მამული?...

არ უყვარს სხვებზე ნაკლებად მიშიკოს არც მამა, არც დედის საფლავი, არც ახლადშექმნილი ოჯახი და სულ პატარა, ოთხი თვის შვილი შოთიკო, თუმცა გორის მე-11 ბატალიონიდან მოყოლებული ყველგან იბრძოდა... ამ ბატალიონშივე გაიცნო გიორგი დიაკონაშვილი. მათი ბიოგრაფიებიც ბევრი რამით ჰგავს ერთმანეთს. ორივე თბილისელია, 1972 წელს დაბადებულები. გოგიტამ 23-ე სკოლა დაამთავრა, მიშიკომ 178-ე. ერთად გაიწვიეს სამხედრო სამსახურში 1991 წელს. დამეგობრდნენ, გაუგეს ერთმანეთს ხვაშიადი, ერთად გამოიწვრთნენ ბრძოლაშიც და მეგობრობაშიაც. ოღონდ ეს კია, მიშიკო უფრო გულგახსნილია, სიტყვაუხვი, გოგიტა კი პირიქით, სიტყვაძვირი და გულჩათხრობილი. სამაჩაბლოშიც ერთად იბრძოდნენ და აფხაზეთშიც;

ტამიშიდან სოფელ ლაბრაში მოუწიათ გადასვლა. სწორედ აქ უმუხთლა ბედმა მათ თანამებრძოლს, ბატალიონ „ავაზას“ წევრს პაატა მუხოშვილს, საბრძოლო დავალების შესრულებისას აუფეთქდა ყუმბარა... მიშიკო კი სიკვდილს გადაურჩა, დაჭრილი გამოიყვანეს ბრძოლის ველიდან...

ჯერ ისევ ჭრილობამოუშუშებელი რომ გაივლის მონატრებულ ქალაქში და თავის კბილა ბიჭებს დაინახავს, უსაქმოდ რომ დგანან თბილისის ქუჩებში, თითქოს ხელმეორედ გაეხსნება ყველა იარა.

შემდეგ კი გულისტკივილით იტყვის:

— მე არ მშურს მაგათი, ან კი რა აქვთ შესაშური, პირიქით, იმათ უნდა შემშურდეთ ჩემი. მხოლოდ ერთი რამ მაღონებს მწარედ, ნუთუ გულის სიღრმეში მაინც არ ფიქრობენ, რაღაც წვლილი მაინც შეიტანონ ამ სისხლხორცეულ საქმეში?

ვიცი, ხალხი რასაც ამბობს და ზოგჯერ არც თუ უსაფუძვლოდ. მარტო აქ კი არა, სახელის გამტეხები იქაც არიან ბრძოლის ველზე. ისიც ვიცი, იქიდან ბევრი გულგატეხილი ბრუნდება უკან, მაგრამ რატომღაც მგონია, იქ მოხვედრილ ბიჭებს მეტნაკლებად რაღაც ვაჟკაცობა მაინც აქვთ შემორჩენილი, რადგან იმ ჯოჯოხეთურ გნიასში შეიძლება სულაც ბრმა ტყვიის მსხვერპლი გახდე და ამის შეგრძნებაც ბევრს ნიშნავს... ვინ იცის იმ გზასაცდენილებისათვის ბრძოლის ველი ერთგვარი ცხოვრებისეული გაკვეთილიც გამოდგეს, რომელიც ადამიანს ზოგჯერ სამუდამოდ ამახსოვრდება.

იქ კი ცეცხლი მძვინვარებს, ომის ცეცხლი.

ეცემიან რჩეული ივერთ მოდგმისანი, ჩვენი სახელოვანი გმირი წინაპრების მეფე ფარნაოზის თუ მირიანის, ვახტანგ გორგასლისა და დავით აღმაშენებლის, თამარის, ვახტანგ მეექვსის ჯილაგისანი, მამულისათვის მსხვერპლად შეწირული გმირების ელიზბარისა და შალვა ერისთავების, ბიძინა ჩოლოყაშვილის, ქეთევან დედოფლის, ცხრა ძმა ხერხეულიძის, სამასი არაგველისა და სხვა რჩეულთა დარად სამშობლოს სამსხვერპლოზე ისინიც მიიტანენ საკურთხეველს.

ეს ბიჭები ნამდვილი გმირები არიან, გმირები კი არ კვდებიან, მათ სახელს ყოველთვის „ამაყად წარმოსთქვამს შთამომავლობა“, „მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი“ კი, თუ საჭირო შეიქნა, ისევ მიწვდება ხმალს, რომ მტერს ახალი ძალით ეკვეთოს.

ნუნუ მაღრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ეჰა, ამ დღისთვის გაგიზარდე,
მამულო შვილი,
სიცოცხლე მივეც, რომ
შეიძლოს შენთვის სიკვდილი!..

ილია



# ღარიბს

საქართველოს თავზე ღონეშემოყრილი შიმშილის მათრახი ტკაცუნობს. დასამალი აღარავისთვისაა, დღითი დღე ძნელდება თავის გატანა. დააკვირდით დედაქალაქს — ქუჩებში, მოედნებზე, გვირაბებსა თუ საზოგადოების თავშეყრის ადგილებში თვალში საცემად მრავლდებიან სამოწყალოდ ქუდდადებულნი თუ ხელგამოწვდილი უმწეონი, რომელნიც ათასგვარი ხერხითა და უნარით ცდილობენ მოყვასის გულის აჩუყებას: ვის ამპუტირებული თუ სისაზარლემდე გასიებული კიდური მოუტიტვლებია, ვინ პრიმიტიულად დაჩხაპნილი მოკლე ანკეტური ბიოგრაფიით გვამცნობს თავის ხვედრს თუ თავს დატეხილ რამე სხვა უბედურებას, ვინ სიმღერით, მუსიკით, ფოკუსებით, ჯადობაზობითა თუ მარჩიელობით იმედოვნებს ლუკმაპურის შოვნას... საქმე იქამდეც კი მიდის, სრულიად ჯანსაღი ადამიანიც აღარ თაკილობს ნამუსის ქუდის ტროტუარზე დაგდებას და გამვლელ-გამომვლელს ხელებში ცქერას...

ამ კერძო ვაჭრობის ლეგალიზაციამ ხომ ბევრ პატიოსანსა და მშრომელ კაცს, ადრე საკუთარი ოფლით რომ არჩენდა ოჯახს, ახლა სულ აურია გზაკვალი, მაცდური ილუზიებით დაუბინდა გონება და საცუდლუტო გზაზე დააყენა. აბა, დააკვირდით მეტროს სადგურებს, ბაზრებს, მაღაზია-გასტრონომების მიმდებარე ტერიტორიებს: ჯან-ღონით სავსე მამაკაცი — ეს უძვირფასესი და შეუცვლელი მუშახელი და სიუხვის წყარო — იმის მაგიერ ბარავდეს, თესავდეს, ჩარხავდეს თუ თიბავდეს, რომ ოჯახი წელში გაასწოროს, მთელი დღე ჯიბეებში ხელებჩაწყობილი უქმად ჰყუდია და ჩუმი მძულვარებით დამუხტული იცდის და იცდის, როდის გამოუჩნდება საოცნებო მუშტარი.

სამწუხაროდ, ამნაირ თვალტანად, ჯან-ღონით სავსე და დაე, ნურავის ნუ ეწყინება პირუთვნელი შეფასება — ღვთის მიერ პირდაპირ ფიზიკური შრომისათვის დაბადებულ კაცებს არ ჰყოფნით ალღო, საიმისო ჟინი და გამბედაობა, რომ ქუჩაში გამოფენილი მთელი ეს თავიანთი წვრილმანი რომელიმე დავრდომილ მეწვრილმანეს მიჰყიდონ ჩალის ფასად, ანდა, სულაც ჯანდაბაში გადაყარონ, მერე კი ერთი მამაპაპურად დაეძგერნენ მარჩენალ მიწას და იმდენს თუ ვერ მოიწევენ, ბაზარზეც გაიტანონ, თავიანთი სამყოფი სარჩო-საბადებელი მაინც აშობინონ.

საბედნიეროდ, ქუჩაში ხელებგამოწვდილი მათხოვრები და ვაიბიზნესმენები არცთუ ისე ბევრნი არიან. ყოველ შემთხვევაში ისინი სოციალურ ამინდს ვერ შექმნიან. ხალხმა, ძირითადმა მასამ, საღად მოაზროვნე საზოგადოებამ შეიგნო, საქართველოს კვნესა-წუწუნი, ჭირ-ვარამზე ბოლომოუღებელი ჩივილი და მოწყალებითა თუ საოჯახო წვრილმან-ფალასფულასით ნაშოვნი ფული კი არ გადაარჩენს, არამედ თავდაუზოგავი შრომა, ოფლისღვრა, შემოქმედებითი გაქანება, სიტუაციის ობიექტური შეფასება, სიუხვე, დოვლათი... ამიტომ მათხოვარ-მეწვრილმანე-ჩარჩვაჭრებით გადატვირთული ერთობ სევდიანი თბილისური პეიზაჟის შემდეგ გულს პირდაპირ მალამოდ ეცხება სადმე პერიფერიაში გავლა, როცა საკუთარი თვალით ხედავ: დიდპატარა მინდორ-ველსა და სახნავსათესს შესევია და თავგამოდებით უყრის საფუძველს წლევანდელი წლის ჭირნახულს. პირდაპირ გულს ვარდი მოგეფინებათ, როცა დააკვირდებით და აშკარად იგრძნობთ — პრივატიზაციით ბოძებულ მიწას ქართველი კაცი ისე ჩასჭიდებია, როგორც დასაღრჩობად განწირული ბეწვზე გადაგდებულ მაშველ რგოლს. დღეს ეს ყველგან იგრძნობა, სადაც კი მტრის ტყვია არ ზუზუნებს და შრომამოწყურებულ კაცს მიწასთან მუსაიფის საშუალება გააჩნია. ჩემი სიმტკუნის გულისათვის შორს წასვლა არ დაგჭირდებათ. თუგინდ, ეგერ, გლდანის მასივის განაპირა სანახები და შემოგარენი შემოიარეთ.

საცხოვრებელ კორპუსების გადაღმა, კარგა მოშორებით, ის შიშველი ბორცვ-ფერდობები, საუკუნეთა მანძილზე მხოლოდ გარეულ ფრინველთა და ქართა სამყოფ-სათარეშო რომ იყო, ახლა ლაზათიანად დაუბარ-დაუფარცხავთ და ჭიანჭველებივით მოფუსფუსე ხალხს გაუვსია. თითოეული მათგანი ისეთი მუყაითობითა და გულისყურით ბარავს, აკეთებს კვლებს, თესავს, რომ სანამ თავზე არ წაადგებით, ვერც კი შეგნიშნავენ.

— ვინა? მე? — სწორდება წელში ჩასკვნილი მოხუცი და სახელოთი ოფლს იწმენდავს მზისგან გაშავებული შუბლიდან, — მე, გენაცვალე, შალიკო ნამორაძე ვარ, ეგე, სოფელ გლდანიდან. ჩვენ ვიყავით უმიწო ხალხი, ეს კი იყო უხალხო მიწა. ჰოდა, მთავრობის მოწოდებაზე — არ დავტოვოთ არც ერთი მტკაველი დაუმუშავებელი მიწაო! — მოვედით და დავიჭირეთ აი, ეს მივარდნილი ადგილები, გვპირდებიან გაგიფორმებთო. კეთილი და პატიოსანი!.. დარებს ვეშურებით, რომ დროზე ჩავყაროთ თესლი. ამ მთავრობისა არც დახმარება მინდა, არც მოწყალება — რაც მთავარია, მიწაზე მიმიშვა! ეხლა მე ვიცი! ჯალაბსაც შევინახავ და ზედმეტს ბაზარზეც გამოვიტან... წეღან მათხოვრები ახსენე. არა, შენი ჭირიმე, ქუჩაში თითო-ოროლა მათხოვარი რო გვიზის, ეგ არაფერი. საშიში, იცი, რომელი მათხოვრები არიან: კოხტად ჩაცმულ-დახურულნი, ლიპდასქელებულნი და შრომას გადაჩვეულნი მთელი დღე ტელევიზორებთან რომ სხედან და ხელების ფშვნეტით ისმენენ და იმახსოვრებენ, რომელმა სახელმწიფომ რა და რა სახის სამოწყალო დახმარება გამოგვიგზავნა! კაცო, ჩვენი მიწა-წყლის პატრონებს სხვისი დასახმარებელი რა უნდა გვჭირდეს, ჩვენ რო ვვარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჭკუჩაბით

გოდეთ?! შრომაა საჭირო, შვილოსან, შრომა! ზოგიერთ მცონარას კიდევ დაულია ყბა და სულ ამას მოსთქვამს: ტექნიკა და მანქანა-ტრაქტორები არა გვაქვს, საწვავი არა გვაქვს, სასუქები და შხამქიმიკატები არა გვაქვსო! მაგას მეცა ვხედავ, რომ არა გვაქვს და ვინ იცის, კარგა ხანამდე შეიძლება არცა გვქონდეს — მაშ, დავხოცილვართ მშივრები და ეგ არის! შე კაი კაცო, იმ ლექსისა არ იყოს: ხმლის სიმოკლე რას დაგიშლის, ფეხი წადგი ცოტა წინაო, ტექნიკა თუ არა, მამაპაპური თოხი, ნამგალი, ცელი და ბარი ხომ მოგვეძებნება! ავიღოთ და ჯიდინოთ ოფლი. აე, ჩემი თოხი, ვენაცვალე ამის გამჭედსა — ოცდახუთი საუკუნე ამისთანა უბრალო იარაღმა შაინახა საქართველო. თუ მოვინდომებთ, არც ახლა გვეტყვის უარს!.. ეჰ, დავიღალე, ყველაფერს მე ნუ მათქმევინებ — ეხლა ეგე, ალექსა მამგულაშვილი ალაპარაკე.

— მეც გლდანელი ვარ! — ყინჩად განაცხადა ალექსამ, — ჩვენ გადავრჩებით იმ შემთხვევაში, თუ გავიხსენებთ, ვისი გვარისანი ვართ. მართალია, მე დიდი ნაკითხი კაცი არა ვარ, მაგრამ გამიგონია, რომ სხვა ქვეყნები გეორგიედ გვიცნობენ, ეს სიტყვა კი იმათებურად თურმე მიწის მუშას, მიწათმოქმედსა ნიშნავს. ჰოდა, მაშ, რა ღმერთი გაგვიწყრა, გუთნისდედობა ავტომატსა და ავაზაკობაზე როგორ გავცვალეთ?! იმ დღეს ბიჭმა ერთი კოლოფი უცხოური საქონლის კონსერვი მოიტანა — სამსახურში ჰუმანიტარული დახმარების ხაზით მიეცათ. რაც მართალია, გავუჯავრდი — აქ რა პირით მოგქონდა, მაგან ოჯახი უნდა გამოგვიკვებოს-მეთქი. გაბრაზებულმა გავხსენი და ძაღლს ჩავუპირქვავე გეჯაში. კაცო, თუ მკლავს გავშლით, რა დაგვამშევს?! აბა, გაიხედე; ეს შალიკო ნაკვეთში რო მუშაობს, ზევით ყალთალზე კიდევ რამოდენა დეკეული უბია. მეც უნდა გავიჩინო! ყველამ თითო-თითო მაინც რო ვიყოლიოთ, ხორცი გვეყოფა კი არა, სხვაგანაც გავიტანთ! ჩვენი წინაპრები ეგრე არ იყვნენ?!

— ჩვენ ძმები ვართ, — ამბობს ახალგაზრდა კობა ბასილაშვილი და წარბით მანიშნებს ზაქარიაზე, — აგერ აქვე, მერვე მიკრორაიონში ვცხოვრობთ. შრომა არც გვეზარება, არც გვეთაკილება. გულსატკენია ზოგიერთი ახალგაზრდა, ვინცა ცდილობს ტყვიით, ძალადობით და სისხლით მოიპოვოს ის, რის მოპოვებაც საკუთარი პატიოსანი ოფლითაც შეიძლება... აი, ეს ჩვენი ნაკვეთი სტიქიური ნაგავსაყარი იყო. ბულდოზერი ვიქირავეთ და იმას გავახვეტინეთ. მერე დანარჩენი ჩვენი მარჯვენით მოვასწორ-მოვასუფთავეთ. ჩვენ ბევრი რად გვინდა — ხუთიოდე ძირი პამიდორი და ორიოდე რიგი ლობიოც გვეყოფა. ცოტას მარაგად შევინახავთ და დანარჩენს ხო არ გადავყრით — ბაზარზე გავიტანთ. ამდენმა უსაქმურმა ხელი რომ მოჰკიდოს ბარსა და თოხს, დამიჯერეთ, ზღაპრული სიუხვე გვექნება!

ახალგაკვალული გზის პირას, ბეტონივით მაგარ ყამირს გასაკვირი შეუპოვრობით ეომება ტანწვრილი, მაღალი ყმაწვილი. გამოველაპარაკე. დაიმორცხვა. ძლივს ვათქმევინე ორიოდე სიტყვა. იგი გამოდგა № 175 საშუალო სკოლის მერვე კლასის მოსწავლე დიმიტრი გუგულაშვილი.

— მე თვითონ მუხიანში ვცხოვრობ, მაგრამ აქ, მერვე კვარტალში პაპა და ბებია ცხოვრობენ და იმათ ვუბარავ... თავიანთვის დაითესავენ რამეს... სხვას რატომ უნდა შეხედონ ხელში.

— ძმაო, მე ყველაფერს პირდაპირ გეტყვი და, გაუშვი, ეს ნაკვეთები თუ გინდ ხვალვე ჩამოგვართვან, — ასე დაიწყო შოთა გოგიაშვილმა და შუბლი შეიჭმუხნა, — მთავრობის მოწოდება და ჩიჩინი რაში მჭირდება — მე თავად კი ვერ ვატყობდი, საქმე უხეიროდ მიგვდიოდა და შიმშილი გვემუქრებოდა?! ჰოდა, ეს ადგილები შარშანვე დავამუშავეთ. აგერ ის მერვე საცხოვრებელი კორპუსი საუწყებოა — სულ ვაგონშემკეთებლები ვართ. მოკლედ, შარშანვე ბაღნარად ვაქციეთ აქაურობა: ჩვენ ბოსტნეულისთვის ერთხელაც არ გავსულვართ ბაზარზე. ის კი არა, ნათესავ-მეგობრებსაც კი ვუწილადებთ ხოლმე.

— ზოგი ჭირი მარგებელიაო, ტყუილად კი არ უთქვამთ, — წამოიძახა შოთას მომიჯნავე თემურ მერაბიშვილმა და გაიცინა, — რო ვიხსენებ, თვითონ მეც აღარ მჯერა ახლა. მაინც რა იყო, ჰა: მოვიტანდით ოც-ოცლიტრიანი ბოცებით ლუდსა და გათენებამდე დომინოს ვუტყაპუნებდით!!! ახლა დომინოსთვის ვილასა სცხელა — ყოფნა-არყოფნის საკითხი დაგვიდგა. აბა, გადახედე, როგორ შრომობენ — ისინი სულ ჩვენი კორპუსელები არიან!..

მზე გვარიანად გადახრილიყო, ავტობუსის გაჩერებისკენ მიმავალ გზას რომ დავადექი. გაჩერებიდან, ავტობუსის მოსვლამდე, კიდევ დიდხანს გავცქეროდი უსწორმასწორო ბექობუქებში გაფანტულ მიწაში თავჩარგულ ადამიანებს და უნებურად გამახსენდა ერთი ძველი ლეგენდა.

საკუთარი ძალგულოვნებით გაამაყებული ერთი ჭაბუკი იარაღით აღიჭურვა და შორეულ ქვეყნებს მიაშურა, რომ ბრძოლებითა და ძარცვაგლეჯით ბევრი ოქრო ეშოვა. მაგრამ კარგა ხნის შემდეგ ნაცემ-ნაგვემი, დამაშვრალი და რაც მთავარია, ხელცარიელი დაბრუნდა. სოფლელმა თეთრწვერა ბრძენმა ჭაბუკს ოსტატურად დასცინა და თან ჭკუაც ასწავლა: შე კაი დედმამიშვილო, თუკი ოქრო გინდა, მე ვერ მითხარი, მიგასწავლიდიო. თქვენს ამოვარდნილ ვენახში ოქროს მეტი რა არის ჩამარხულიო. ჭაბუკმა ყურები ცქვიტა და სეტყვასავით დააყარა კითხვები: სადა, რა ადგილას, ან რა სიღრმეზე ჩავთხაროო. ბრძენმა მიუგო: ვენახი თავიდან ბოლომდე ოქროთია სავსე, ხოლო სიღრმით კი იმაზე ღრმად ნუ ჩახვალ, რასაც ერთი ბარის პირი ჩაიტანსო.

**ჯემალ მეხრიშვილი**



# მივდივარ და დარდი მიმაქვს...

სულთათანა

უსიხარულოდ და უფერულად შემოვიდა უკვე მერამდენე გაზაფხული.

არც აპრილის შემონათება გვათბობს ადრინდელივით.

ატმისა და ნუშის ყვავილებსაც თითქოს ფერი დაჰკარგვიათ.

ირგვლივ ყველაფერს თალხისფერი დაჰკრავს.

გლოვის ზარია ამერ-იმერში.

„სიკვდილის რთველიაო საქართველოში" — შეგძრავს მწარე სინამდვილე.

ვინ იფიქრებდა, შემოდგომის ხვავის და ბარაქის შემამკობელი რთველის სიკვდილთან გაიგივებას.

ვინ იფიქრებდა, სიცოცხლისა და სიყვარულის საწყისის — აპრილის გაფერმკრთალებას.

ვეღარ იტვირთა მხოლოდ აპრილმა ხსოვნის დღეობა, ვეღარ გაუძლო მოჯარებულ სასოწარკვეთას და თავსდატეხილ უბედურებას, კვლავაც მრავალი მსხვერპლი შეწირა.

უფრო იოლია სიკვდილი, როცა ადამიანი ლამაზად კვდება, კვდება ისე, „ვით დაიბადა ეს ყველაფერი", გაუსაძლისია სიკვდილი, როცა ადამიანს მუხანათურად კლავენ... კლავენ თავისივე მოძმის ხელით, კლავენ და ცოდვილიანები უდრტვინველად და უშფოთველად დააბიჯებენ ცოდვილ მიწაზე.

კარგად შეხედეთ ამ ფოტოს. იგი ოცდაორი წლის გიორგი — გია ჩოლოყაშვილია, ხელოვნების ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტი, დედისერთა ვაჟკაცი, თხემით ტერფამდე ქართველი.

შვილმკვდარი დედა ყველა უბედურია, მაგრამ თურმე ასეთი დედებიც შეიძლება ამაკდროულად ბედნიერებიც იყვნენ.

ბედნიერია ყველა ის უბედური დედა, ვინც ცხრა აპრილის ზვარაკად შეწირული სიცოცხლე შობა, ბედნიერია ყველა ის უბედური დედა, რომლის შვილი სამშობლოს სიყვარულს, მისთვის თავდადებას შეეწირა და კიდევ ის, ვისი შვილიც ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, რომ მხოლოდ სიკეთის, სიყვარულისა და ვაჟკაცობის კვალი დატოვა.

ასეთად წავიდა ამ ქვეყნიდან გია ჩოლოყაშვილი.

რვა უსაშველო თვე მიილია იმ საბედისწერო აგვისტოს დღიდან, როცა უკრაინის ქალაქ ნიკოლაევში შემთხვევით გაცნობილმა თანამოძმემ ვერაგულად, გადატეხილი შამპანურის ბოთლით, მოუსწრაფა სიცოცხლე. იმ შამპანურის, რომლითაც სულ რამდენიმე წუთის წინ ერთმანეთის გაცნობის, ქართველობისა და საქართველოს სადღეგრძელოს სვამდნენ. არამი იყოს მისი მკვლელისათვის დედის ძუძუც და ყურძნის ნაყურიც.

დედამ ვერ შეძლო თუთიის სასახლით ჩამოსვენებული შვილის დანახვა, გულში ვერ ჩაიკრა მონატრებული დედისერთა, ვერ დაუკოცნა ლამაზი ცისფერი თვალები... არადა, რა თბილი ურთიერთობა ჰქონდა დედა-შვილს, როგორი სათუთი, სათნო, მეგობრული...



და, განა მარტო დედასთან იყო ასეთი, ყველასთან, ვინც კი იცნობდა, ვისთანაც მეგობრობდა...

ამიტომაც დაიტირეს გულწრფელი ცრემლით, ამიტომაც დატოვა უსაზღვრო მწუხარება.

ჩამოიქუფრა გიას მხიარულ და სტუმართმოყვარე ჭერქვეშ. გაჭირდა უიმისოდ სიცოცხლეც და სიხარულიც... ჩამოდნა და დაჭკნა ახალგაზრდა დედა, დაილია მამა, სამართალი კი არა და არ ჩანს. ერთადერთ ნუგეშად მშობლებს გიას პატარა დაიკო ჰყავთ, რომელიც წუთითაც არ ივიწყებს თავის საყვარელ ძმას, ეფერება და ეალერსება მის სურათებს.

წვეთ-წვეთად ილვენთება გიას სულის მოსახსენებლად დანთებული სანთლები, რომლითაც დედა ყოველდღე ავედრებს უფალს პირმშოს სულს, მერე კი ნათლად გრძნობს, როგორ შემოაღწევს მზის სხივი ჩაბნელებულ ოთახში და გიას სურათს ნათლის სვეტად დაეფანება.

იქ კი, გარეთ, ქუჩაში მეგობარ გოგონას მხრებს აუწევს გიას აჩრდილი, თითქოს ცოცხლად ხედავს მის სახეს, ღიმილს, მიხვრა-მოხვრას... ბოლოს ვეღარ გაუძლებს ამ ხილვას და მწარედ აქვითინდება... ის კი, ამ დროს სადღაც გაუჩინარდება... ეს ის დაფარული სევდა და ნაღველია, რომელიც თან გაიყოლა ამოუცნობ ტკივილად...

ეტყობა, რაღაც წინათგრძნობაც აწვალებდა, ხშირად ჩაიღიღინებდა ხოლმე: — მივდივარ და დარდი მიმაქვს, რა მოხდება ხვალ და ზეგ... თან მისეულ დაბოლოებას ჩაურთავდა, — მხოლოდ შენი იმედი მაქვს, გიო, ამ ქვეყანაზე... განუყრელ მეგობარს გია სულაბერიძეს გულისხმობდა...

ვერ აისრულა საწადელი, დედას რომ წინა დღით ტელეფონით საუბრისას გაუმხილა, მალე ჩამოვალ და იქ წავალ, სადაც ახლა ყველაზე მეტად ვარ საჭიროო (აფხაზეთს გულისხმობდა).

ალბათ, თუკი მაინც ეს ბედი ეწერა, იქ სიკვდილი გაცილებით იოლი იქნებოდა გიასათვისაც, მისი მშობლებისა და ახლობლებისთვისაც.

მაგრამ ვაი, რომ ამაშიც უმუხთლა ბედმა, ვერ შეაჩერა მისი ულმობელი ბორბალი...

ვერც ბუნების სრბოლა შეაჩერა.

უიმისოდ მაინც მოვიდა პირველი გაზაფხული...

**ნუნუ კუპრეიშვილი**

## თოთია ბიგაური

### ხატის სიზმარი

აი, აქ ხატის ტყე არის ისევ,
გაოგნებულნი უძრავად დგანან.
მთიდან სიზმრები ჩამოაქვთ
ნისლებს,
ხატს ესიზმრება სახატე ყანა.

მაგრამ არვინ ხნავს სახატე
მინდვრებს,
მოდებული აქვს შამბი, ბალახი.
ხატს ესიზმრება კიდევ და კიდევ
შრიალა ყანა, ადრე ნანახი.

ხატს ესიზმრება მლოცველი
ძველი,
მათი მხურვალედ თქმული წყალობა.
ზოგჯერ საკუთარ ბედ-იღბალს
წყევლის,
ხანდახან უსმენს ჩიტთა გალობას.

დრო დგას ადგილზე, ვით ცივი
ლოდი,
ღამეს დღე შეცვლის, დღეს ღამე
მოსდევს.
უცდის ხატი და არავინ მოდის,
არ ინანიებს არავინ ცოდვებს.

გაკრეფილია სუყველა ბარში,
დაკარგულია ნემსივით რწმენა.

დღეს მარტო ხატი ავდარში,
დარში,
ჩაგუბებულა ზარებში წყევლა.

წყევლა ხალხის თუ მარტოდ
დარჩენის,
ამოუხსნელი მუდამ, მარადის,
და მარტოობის მძიმე სასჯელი
რჩება, ვით მოძმის მწარე ღალატი.

### სათხოვარი დედას

მაპატიე, ჩემი ხვედრით,
რაც აქამდე გადარდე.
მყუდროებას რომ გირღვევდი,
გულს რომ გჭრიდა ვადამდე.

თუ ვჩხუბობდი სხვის გულისთვის,
ასე თავის-განწირვით.
მუდამ გაკლდა დედი, ვიცი,
ხან ლუკმა და ხან ძილი.

მაპატიე, ღამე ყველა,
დილამდე რომ მელოდი,
მე კი ასე უდარდელად
ძმა-ბიჭებში ვმღეროდი.

მახარებდა ხის შრიალი,
რის დარდი და რა ჭირი.
ბევრჯერ მოველ სისხლიანი,
ბევრჯერ მოველ დაჭრილი.

რა ვიცოდი, მაშინ დედა,
შენი ცხელი ცრემლების,
შენი დარდი, შენი სევდა,
მუდამ გაუნელები.

შენი გული თითქმის დადნა,
ჩემს შინ მოსვლას ნატრული.
ხან გეგონა, ვეგდე სადღაც,
დანით გულგაფატრული.

ასე ვიყავ შენი შვილი,
მიწისა და ცის მგზავრი.
ვერ გაღირსე ტკბილი ძილი
და ვერც ტკბილი სიზმარი.

სტრიქონებში ვერ ჩავტიე
ხმა ჩვენებურ ფანდურის...
ის წარსული მაპატიე,
ის გზა დარდიმანდული.

მინიატურა

# პური სულის არსობისა

სუდარაში გახვეული უნივერსიტეტის ეზოში შევედი და მისი დიდი კარებისაკენ მიმავალ გზას გავყევი. ნახევარი გზაც არ მქონდა გავლილი, რომ ძალა აღარ მეყო და გავჩერდი. დიდი ხნის მშიერი ვიყავი და თავბრუ მეხვეოდა.

ჯოჯოხეთური ცეცხლი დაანთო ომმა. უნივერსიტეტმაც ამიტომ მოიხურა შავი. შიმშილი და გაჭირვებაც ამიტომ გახდა ბედი-მდევარი სიკეთისათვის ამქვეყნად გაჩენილი კაცისა.

როგორც იყო, ეზოდან გამოვედი, გზა გადავჭერი, ფეხებმა პურის მაღაზიისკენ წამიყვანეს.

მაღაზიაში შევედი. ჯიბიდან ტალონი ამოვიღე, მაგრამ მთელი კვირისა მოჭრილი აღმოჩნდა. მე კი მშიოდა, მუხლები მიკანკალებდა. კედელს მივეყუდე და ლოდინი დავიწყე, მაგრამ ვის, ან რას ველოდი, მეც არ ვიცოდი.

ათიოდე წლის ბიჭმა თეთრხალათიან პურის გამყიდველს ტალონები და ფული გაუწოდა. მან მოჭრილ ტალონებს მუყაოს ყუთებში ჩაუძახა და ერთი პური მისცა ბიჭს.

ბიჭმა პური იღლიაში ამოიდო და ღიღინით გასწია. მე უკან ავედევნე. ღიღინებდა ბიჭი ალბათ იმიტომ, რომ პური ეჭირა. პური, რომელიც ასე მიზიდავდა მე. ერთი წუთით შეჩერდა, თითქო რაღაცის სათქმელად. შეჩერდა უკან ადევნებული ჩემი ლანდიც.

მიდიოდა წამები, წუთები. ყურებში შიმშილის ზარებმა ჩამორეკეს.

ფუი, რა მატყუარა ყოფილა კაცი. აკი უცოდველი მეგონა ჩემი თავი ამ ცოტა ხნის წინ. ეს რა სატანა დამჯდომია მხრებზე?!

ბიჭი აღმართს შეუდგა. მიდის, მისდევს ჩემი ჩრდილიც.

მე ხომ დიდი ვარ, ოცი წლის, ხომ მოვერევი ბიჭს? წავართმევ პურს, შევალ ეზოში, დავგლეჯავ, ლუკმა-ლუკმა ვაქცევ. წავიდეს და მეღავოს მერე.

განზრახვისათვის არავის სჯიან, მაგრამ რას მიქვია განზრახვა. განზრახვა განა კუჭს აძღობს? მიდის ბიჭი. არ ესმის ჩემი ბოროტი სურვილი, თორემ ხომ იყვირებდა: ყაჩაღი ამედევნა, მიშველეთ, დაიჭირეთო.

ალბათ უკვე სახლს მიუახლოვდა. ნუთუ ამ უზარმაზარმა კარებმა, შავად რომ დაუღია პირი უნდა გადაგვეყლაპოს ბიჭიც, პურიც და მეც. პურის სუნი ხომ არ იგრძნო ბიჭის დედამ, სკოლაში წასასვლელად გამზაგებულმა პატარა დაიკომ.

მიდის ბიჭი. მივდევ მე. კიდევ მაქვს დრო ფიქრისა, წავართვა თუ არა პური. მივუახლოვდი, პურსაც ხელი შევავლე. როგორი ცხელი იყო, იციი პური?! ალბათ იმ ღუმელივით ცხელი, რომელშიაც გამოაცხეს.

ბიჭმა ფეხი წამოკრა, არ ვიცი, რას. წაიქცა. მე ვეცი, ხელი დავავლე... პურს. ავიღე, მტვერი გავაცალე და ვაკოცე. წამომდგარ ბიჭს პური გავუწოდე.

დაღლილი, მძიმე ნაბიჯებით მივლასლასდი ჩემ სახლამდე. მივეგდე საწოლზე და ავტირდი.

ბიძინა კარდენახიშვილი

# კიდევ ერთი ვარაუდი

**ამირან ცამციშვილ-ფიცხელაური**

ჩვენი ჟურნალის ჩანართის პირველ გვერდზე მკითხველთ, დაინტერესებულ ცნობის მოყვარეთ, განსაკუთრებით ისტორიკოს-რუსთველოლოგებს სამზერლად და განსახილველად ვთავაზობთ კიდევ ერთ უცნობ პორტრეტს, რომელიც დავიგულეთ შოთა რუსთველად. ცხადია, სკრუპულოზური კვლევა-ძიებით მოპოვებულ ზოგიერთ ინფორმაციას, მტკიცებასა თუ მყარსაფუძვლიან ვარაუდს ნოტარიუსის ბეჭედდასმული დასტური არ ახლავს, მაგრამ ისინი უპრეცენდენტო მტკიცე საფუძველს ემყარებიან. ეს გახლავთ დღნიდან მისხალ-მისხალ ამოკრეფილ-ამომძვრწილი ენიგმური საიდუმლო სიტყვები, ბგერათკომპლექსები, რომლებიც სპეციალისტ-პროფესიონალის მიერ გადაღებული ფოტოებიდან და ფერადი სლაიდებიდანაა გადმოწერილი. ჩვენთვის ნაცნობ ამ თვალსაჩინო სიტყვა-ტერმინებს, მკაფიოდ ნაწერ ფრაზებს, ფრაგმენტებს ვეყრდნობით და მიგვაჩნია, რომ გაზეთ „თუთარჩელაში" ახლახანს დაბეჭდილ მოხუც მეჭურჭლეთუხუცეს შოთას ოქროჭედურ პორტრეტის შემდეგ მივაკვლიეთ და ვაქვეყნებთ გენიალური მოაზროვნის, მჭევრმეტყველის და მგოსნის შოთა რუსთველის, ჩვენი გამოძიებითა და დადგენით იგივე იოანე ვარდანის ძე დადიანის კიდევ ერთ პორტრეტს. იგი თავის იკონოგრაფიულ-ფიზიონომიური იერსახით, დამზადების დრო-ჟამით და წარწერის შინაარსით კარგად თავსდება ისტორიულ მოვლენებსა და ჩარჩოებში, რომლებიც ჩვენ და ზოგიერთმა ჩვენს წინ მოღვაწე მკვლევარმა წარმოვაჩინეთ დიდ ჰუმანისტსა და მოაზროვნეზე: რომ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ თეოდორეს მიერ თავის ყოფილ საყუდარზე 1206 წელს შოთა რუსთველი ნაკურთხ-გზადალოცვილ მღვდელმთავრად იქმნა, ხოლო 1207-დან, თეოდორეს აღსრულების შემდეგ, მწიგნობართუხუცეს — ჭყონდიდლად და ბოლოს მეფე დავით ნარინის მეჭურჭლეთუხუცესადაც.

დიდ მღვდელმთავართა საბრჯენი გრძელი ჯოხის (არგანის) ხუთფეროვანმა ბუნიკმა ჩვენი ყურადღება ამ ოციოდე წლის წინ მიიპყრო ერთ საუნჯეთსაცავში მუშაობისას. გადავაღებინეთ იგი ნაირ-ნაირად, შემდეგ ამოვიკითხეთ მისი წარწერა, გავეცანით და გამოვიძიეთ მოსკოვში მასზე არსებული მწირი ცნობები, მასალები, შესაბამისი ლიტერატურაც. რაღა თქმა უნდა, ბევრი ვუჭვრიტეთ და ვუკირკიტეთ სეიფში დავანებულ ბაჯაღლოზე მოსხმულ ტიხრულ მინანქრით გამოკვეთილ თვით გამოსახულებას, მის სლაიდებსა და ფოტოებსაც სათანადო ტექნიკური საშუალებებით.

დაბოლოს, როცა უყოყმანოდ დავრწმუნდით, რომ მგოსანთა გვირგვინოსნიან მგოსნის პორტრეტი შექმნილია უნიკალური ჯადოქრული დიდოსტატობით — ერთურთზე მიჯრილ ქართულ ასოთა კრიალოსნური შერწყმა-შეწიალებით, ზიართ გვერდების გამოყენებით, ანუ ე. წ. ლიგატურული ფორმებით, რომლებიც სათანადო წესებით ასოებად, მარცვლებად, სიტყვა-ტერმინებად იშლებიან, ბევრი რამ ცხადი, უცხადესი გახდა და დაბეჯითებით განაპირობა მისი გამოქვეყნების აუცილებლობა. დაინტერესებული მახვილი თვალი კარგად დამზადებულ ფოტოს სიღრმეში თუ მონდომებით ჩაიხედავს, დარწმუნდება, რომ ჩანგოსან მგოსნის სახე, წვერ-ულვაში, კულულები, კისერი, მხრები, მკლავები, მოსასხამი, შარავანდი და პორტრეტის ფონი „მოხატულია" ასოებით, მისი დამამშვენებელი ოთხივე დიდი ძვირფასი თვალიც კი მოკირწყლულია პაწაწინა წარწერებით.

ალბათ წარმოუდგენელია თუ როგორ განვცვიფრდი, როცა ცნობილი კომპლექსები, სიტყვები ამოვიცანით, ამოვიკითხეთ და მიუხედავად იმისა, რომ გაცხადებული ენიგმები ერთობ მცირე გვაქვს ამოწერილი, რაც თვალისჩინის კოლოსალური დაძაბვით და ცქერითაა შესაძლებელი, ისინი მაინც სრულიად საკმაო საფუძველს გვიქმნიან გუმანის და აღმოჩენის გასაჭეშმარიტებლად. ამ საკითხებზე სიამოვნებით მოვუსმენთ თანამგრძნობ და ჯანსაღ კრიტიკოს-სპეციალისტებს, ოღონდ არა ნიღილისტ-დოქტორალებს, არამედ წრფელ, მეცნიერულად მოაზროვნე კოლეგებს განსახჯელ საკითხზე არსებულ ილუსტრაციების დემონსტრირებით.

ერთი უცნაურობა სჭირს ჯადოქარი დიდოსტატის ძვირფას ნახელავს: ზოგიერთი ასო-ნიშანი გარდასახვის საოცარი უნარითაა აღჭურვილი. მაგალითად, ასო შანი ხან წილად, ცანად და ზოგჯერ დონადაც კი წარმოგვიდგება; ერთხელ უკვე აღქმულ ასოს, ბგერათკომპლექსს თვალს თუ უყელებ, განმეორებით იგი ახალი შინაარსით გეცნაურებათ და პირვანდელი სახით მხოლოდ დაჟინებული მზერით აღდგება. წარწერები გაცილებით უკეთესად იკითხებიან მაშინ, როცა ამ უნიკალური ნივთის ზომიერად გადიდებულ ფოტოსურათს ძლიერი ელნათურით გავათბობთ და გავაშუქებთ. ამასთანავე, სასურველია მისი რეპროდუქცია გაკეთდეს სხვადასხვა სიმძლავრის სინათლით, რაკურსით და ფრაგმენტალურად, განსაკუთრებით ნივთის მკობელი თვლების. აღსანიშნავია, რომ XII-XIII საუკუნეების მიჯნით დათარიღებულ ამ ბუნიკის დედანი ბევრ სხვა საგანძურთან ერთად XIX საუკუნის ბოლოს საქართველოდან მოსკოვს გაგზავნეს რუსი ეგზარქოსის წყალობით თითქოს სარესტავრაციოდ. სინამდვილეში იქ საქმოსნებმა მისგან დაამზადებინეს ასლი, დედანი კი „უფროსმა ღვთიურმა ძმებმა" უცერემონიოდ აწაპნეს.

უცნობ დამწერლობისადმი აპატიურმა განწყობილებამ, ანდა ეგების ინტიმურ ამბავთა იხრობამ განაპირობა მგოსნის შარავანდის წარწერათა განგებ წარხოცვა შავი შტრიხებით. ჩანგოსან მგოსნის თავს აქეთ-იქით დასმული შავი ტლანქი ასო დონი და თანაც ისტორიული პირის მითიურად გარდასახვის მცდელობითაა, რამეთუ იგი XIX საუკუნეში მოსკოვშია გაკეთებული. მისი ამოშიფვრის ერთი ვარიანტია „დავით", მაგრამ პორტრეტის ჩარჩოს წარწერის შინაარსი („კუერთხმან შენმან და არგანმან შენმან ამით ნუგეშინი მცეს მე") ასეთ ვარაუდს აბათილებს და მეტყველებს მასზე, რომ უბადლო განძის წამბილწველს უცდია ბუნიკის თავდაპირველი პერსონაჟის მიჩქმალვა. ასეც რომ არ იყოს, რატომ მივიჩნიოთ იგი მაინცდამაინც „დ(ავი)თ"-ად და არა მაგალითად „დ(ედოფ-ალ) თ(ამარ)"-ად?! „დ-თ"-ს მერმინდელობა იმითაც მტკიცდება, რომ დანარჩენ 4 ფერდზე არსებულ ერთ გამოსახულებას მსგავსი სიგნატურა არ ახლავს.

ჩარჩოსეული ხუცური ტექსტი მეტყველებს, რომ წარწერის ავტორი



საჩუქრის დამზადებისას, ანუ XIII საუკუნის დასაწყისში, ცოცხალი იყო და ბუნიკის გვერდზე გამოსახულ მგოსანთა გვირგვინოსან მგოსნისგან ნუგეშს ითხოვდა, რასაც სუბორდინაციული იერარქიით უთუოდ იმსახურებდა, ელოდა და მიიღო კიდეც.

გვირგვინოსან მგოსნის პორტრეტიდან ჩემი სტუდენტის და საკუთარი ხელით ამოკრეფილ პალეოგრაფიულ ფაქსიმილიებს აქ ვერ ვიმოწმებთ. შავ-თეთრი ფოტო კი თუ ხარისხიანად დაიბეჭდა, იქნებ მკითხველმაც შეამჩნიოს ზოგი რამ ფრიად მნიშვნელოვანი, რასაც მადლიერებით მივიღებდით.

ღმერთმა და ერმა თუ ინება და კვლევა-ძიების შემდგომ ეტაპზე ხელიც თუ მოგვემართა (საშინლად გაძვირდა სლაიდები და ფოტოებიც), დანარჩენ 4 პორტრეტსაც წარმოვაჩენთ, თუ არადა ხოშარა გზა გაკვალულია და ნაყამირალზე წინსვლა ნიჭიერ ახალგაზრდა მეცნიერებს აღარ გაუჭირდებათ, მითუმეტეს, რომ ჩვენ ასეთებს დაუზარელად დავეხმარებით.

წარმოჩენილი ჩანგ-გვირგვინოსნის ძველ-პირვანდელი ბუნიკის შარავანდი ქართული წარწერებით იყო ამოვსებული, ახალი ასლის შარავანდი და ნაწილობრივ თმა-წვერულვაშიც ვარაყითაა დაშტრიხულ-გადაფერილი, ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანი და უზომოდ დიდი ღირებულებისაა დედანი, რომლის მიკვლევა ყველას ვალია, რადგან მით უმცდარად ამოიხსნება რვა საუკუნოვანი ენიგმა და ზუსტად დადგინდება აბსოლუტური ჭეშმარიტება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იაპონელი პოეტები

საქართველოს პარლამენტის წევრს, ცნობილ პოეტსა და მთარგმნელს, ბატონ ჯემალ აჯიაშვილს, ჩვენი კორესპონდენტი შინ ეწვია ინტერვიუსათვის. ინტერვიუსაგან ბატონმა ჯემალმა ამჯერად თავი შეიკავა, მაგრამ მთლად ხელცარიელი მაინც არ მობრუნებულა ჩვენი კორესპონდენტი რედაქციაში. გთავაზობთ ჯემალ აჯიაშვილის თარგმნილ ორი თანამედროვე იაპონელი პოეტის ლექსებს.

## სეკინე ჰიროსი

### სინძიუკუ*

ჯერაც შორსაა გათენებამდე,
ჩაძირულია სინძიუკუ ვარდისფერ ძილში.
და ვერ ამჩნევენ დაბინდული მისი თვალები
ჭუჭყით გასვრილ საკუთარ პროფილს,
გადაპრანჭული სახეპირის უშნო გრიმასებს.
ჯერაც შორსაა გათენებამდე...

ჩამწკრივებულა საავხორცოდ ათი მეძავი, —
ვერ ვუწოდებდი, სამწუხაროდ, მზეთუნახავებს.
იცვლიან მუშტრებს,
უგერგილოდ პირმოთნეობენ —
მე შენ გეტყვი და, ამისთანა შარახვეტიებს
ჭკუა-გონებას მოჰკითხავს კაცი!..

წარმოიდგინეთ ჭუჭყიანი ბალახბულახით
ამოგმანული მღვრიე ჭაობი:
აი, რა არის სინძიუკუ!
უშფოთველია მისი ყოფა,
მისი ცხოვრება
და მეძავების ბიწიერებით სავსე მორევი.

რომ დაანახათ შეყვარებულ ქარიხვეტიებს
ნამდვილი სახე სინძიუკუსი —
სამარადისოდ შეზიზღდებოდათ მისი ხსენება.
აი, რად სძინავს სინძიუკუს დღე და ცისმარე:
ღამეა — სძინავს,

დილაა — სძინავს,
ჩაძირულია უდროო ძილში.
როცა არ უნდა ეახლოს კაცი —
შორია,
შორი — გათენებამდე.

შორია...
ვიდრე შენ არ მოხვალ, უცხო სტუმარო,
და არ შეარყევს მტვრიან პროსპექტებს
ჩქამი შენეულ ნაბიჯებისა...

## კვლავ ოთახისკენ შემობრუნდები

დაბერავს ქარი —
აივსება ცრემლით ოთახი
და მოჭიქული გოგო-ბიჭები
შეაბოტებენ ოთახის ტბორში.
ქანაობს ფიქრი,
ქანაობენ ღამის სიზმრები
და სიზმარეულ სიმსუბუქეში
ცელულოიდის საჰაერო ბურთები რბიან.
რეკავს საათი,
შეჩერდება უცებ ცირფიტა
და ფირსაკრავიც იყუჩებს წამით.
თავის ხერხემალს გადახერხავს ფოლადის ხერხი
და შალაშინი გარანდავს კატას.
შეიმართება ვეება ურო
და ფილაქანზე ეცემა ძუკნა.

შენ ოთახიდან გადიხარ უხმოდ.

გუბურის ძირში —
კამარა ზეცის,
კამარის ქვემოთ —
წკარუნა წვიმა,
წვიმის საფარქვეშ —
ღამეული ოთახის ხმა და
ხმის ქვეშ —
შენა ხარ გარინდებული.

ხარ და არცა ხარ...

ყუჩდება ქარი,
დატბორილი ცრემლების მორევს
თანდათანობით ისრუტავს ზეცა.
ასე ნელინელ ამოშრება ოთახის ტბორი
და გაქრებიან მოჭიქული გოგო-ბიჭები.
შეჩერდებიან ცელოფანის
საჰაერო ბუშტები და
გაყუჩდებიან ღამეული ზმანებები.

ამოძრავდება ისევ ფირფიტა.
ციფერბლატის ქვეშ
აჩქარდება რკინის ქანქარა,
საათის ისრებს უხმაუროდ ჩაეძინებათ.

გაქრება ძუკნა. გაქრება კატა.
თაგვიც გაქრება.

და ასე —
ყოველდღიურობის ნაცადი გზებით
კვლავ ოთახისკენ შემობრუნდები.

---

* ტოკიოს ერთ-ერთი უბანი, რესტორნებით, ღამის ბარებითა და მეძავებით განთქმული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კორა რუმიკო

### ჩვენს ქვეყანაში

ჩვენს ქვეყანაში:
ჯერ საზეიმოდ გააცილებდნენ ომში მფრინავებს,
მერე კი ზღვაში ჩაძირავდნენ ავიამზიდებს,
რომ ნაომარი მფრინავებისთვის
ძირს დახაფრენი გზები მოეჭრათ.

ჩვენს ქვეყანაში —
დიდი ომის დროს სახელდახელოდ
გადახიზნავდნენ უსუსურ ბავშვებს,
მერე კი სწვავდნენ დაბა-ქალაქებს,
სადაც იმათი დედ-მამა დარჩა.

ჩვენს ქვეყანაში:
ხელს მეგობრულად ჩამოართმევდნენ უწვერულ ბიჭებს,
მერე კი... მერე — ნაღმოსნების ბურჯებთან სვამდნენ.

ჩვენს ქვეყანაში:
მუშა რომ მოდის ქარხანაში —
ჯერ გულითადად შეხვდება ყველა,
რომ შეაჩვიონ გულმოდგინებას
და რობოტივით დაუხშონ გული.

ჩვენს ქვეყანაში:
ერთ ხელს ღიმილით ჩამოგართმევენ,
მეორეში კი გაჩეჩებენ იარაღს ხელში.

### ხე

ხის გულისგულში
კიდევ სხვა ხეა, რომელიც ჯერ არ დაბადებულა,
და უთავბოლოდ აქანებს ქარი
მის ღეროებზე გაფენილ რტოებს.

ცათა წიაღში
კიდევ სხვა ცაა, რომელიც ჯერ არ დაბადებულა
და მოკამკამე თვალსაწიერებს
ფრთებით მიაპობს ფრინველთა გუნდი...

და სადღაც ალბათ
ადამიანშიც ძალუმად ფეთქავს ადამის თესლი:
ჯერარშობილის უსუსურ ძარღვებს
არწყულებს დედის ღვთიური სისხლი.

ხოლო ქალაქში
კიდევ არის მცირე ქალაქი,
რომელიც ჯერ არ დაბადებულა
და ხალამს უთვლის ცას და ქვეყანას
მის მოედნებზე მორიალე მგზავრების პირით.

### შეკვეთილი სურათი

ნეტავ ვინ არის თევზის პატრონი?
მე თვით გახლავარ! — იყვირა თევზმა.
დავიჯერებდი, რა თქმა უნდა,
რომ არ მენახა,
როგორ შეიპყრო მებადურმა საბრალო თევზი.

მაშ, აქ დახატეთ მებადური, რომელმაც წელან
თავის ბადეში შეიტყუა საბრალო თევზი.

მაგრამ ვინ არის მებადურის ბატონ-პატრონი?
მე თვით გახლავარ! — დაიძახა მეთევზემ რიხით.
მეც ეს მეგონა, სხვათა შორის,
მაგრამ გავიგე,
რომ სათევზაოდ ჩინოვნიკმა მისცა უფლება.

მაშ, აქ დახატეთ ზედამხედველი,
ვინც ეს უფლება მიანიჭა საწყალ მეთევზეს.

მაგრამ ვინ არის ჩინოვნიკის ზედამდგომელი?
მე თვით გახლავარ! — ჩინოვნიკმა ბრძანა უკმეხად.
ეჰ, ვირწმუნებდი, ჩემი თვალით რომ არ მენახა,
როგორ გააგდო სამსახურიდან
კორპორაციის ხელმძღვანელობამ.

აქ — გამოსახეთ კომპანიის ხელმძღვანელობა
სამსახურიდან დათხოვილი მოსამსახურით.

მაგრამ ვინ არის დირექტორის ზედამდგომელი?
მე თვით გახლავარ! — კადნიერად გვპასუხობს იგი.
მაგრამ რა ვუყოთ, როცა დირექტორს
ჯარისკაცები ადევნებენ თვალყურს დღედაღამ.

აქ საჭიროა დირექტორთან ერთად დავხატოთ
თვით დირექტორის მეთვალყურე ჯარისკაცები.

მაგრამ ვინ არის ჯარისკაცთა ზედამდგომელი?
თვითონ ჩვენა ვართ! — გვიპატაკეს ჯარისკაცებმა.
დავიჯერებდი, რა თქმა უნდა, მაგრამ რას ვიზამთ —
მათი ხელობაც ჯამაგირზე ჰკიდია მხოლოდ.

აქ კი დახატეთ — გაჭირვებული ჯარისკაცები
როგორ ჩამდგარან ხელფასის რიგში.

მაგრამ ვინ არის ჯამაგირის ბატონ-პატრონი? —
მე თვით გახლავართ! — ჯამაგირი შეგვეპასუხა.
ეჰ, ვირწმუნებდით უსათუოდ, მაგრამ ხომ იცით,
თვით ჯამაგირსაც უქვითავენ რაღაც პროცენტებს.

მაშ, აქ ხელფასი გამოსახე, გულის მხატვარო,
და ხელფასიდან დაქვითული თანხაც დახატე.

მაგრამ ვინ არის დაქვითული თანხის პატრონი? —
მე თვით გახლავართ! — იყვირა მანაც.
იქნებ ახეა, ბატონებო, თუმცა, რა ვიცი,
ჩვენს კისერზეა ყოველგვარი გადასახადი.

ჯერ ჩვენ დაგვხატე, ჩვენო მხატვარო,
და მერე ჩვენგან გაღებული გადასახადი.

მაგრამ ვინ არის ჩვენი ბატონი?
ეს თვით ჩვენა ვართ! — ვიძახით რიხით.
მაგრამ თუ ჩვენვე გვეკუთვნება ჩვენივე თავი,
იაპონიაც უსათუოდ იქნება ჩვენი.

მაშ, აქ დახატე, დიდო მხატვარო,
რანი ვიქნებით მომავლისათვის...



ფრიდონ ლობჟანიძე

# დებიუტი

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დაზგური გრაფიკის ფაკულტეტის სტუდენტთა გამოფენიდან



სოსო პაიჭაძე



გიორგი მაისურაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ერთი ხელმწიფე... რაო, რაო, სადაო?! ვიცი და გიმალავთ? როგორც მომიყვნენ, მეც ისე ვყვები — არც არაფერს ვამატებ, არც არაფერს ვაკლებ და არც იმას ვამბობ, გინდათ თუ არა, დამიჯერეთ-მეთქი. ზღაპარი იმისი ზღაპარია, ტყუილი უნდა იყოს, მაგრამ სიმართლესა ჰგავდეს, ისეთ სიმართლეს, ჩვენისთანა საწყალ ხალხს რომ გაახარებს, ტა-ტა-ტა-ტა, ნეტა, ცხადშიც ეგრე იყოსო! ეგე, ძმაო და შვილო, ზღაპარი!

ზღაპარში ქვეყანაც ზღაპრულია: რა ტყეები, რა ველ-მინდვრები, რა წყაროები, ყვავილნარი, ხეხილი, ხვავბარაქა, ხალხი და რა ხალხი!.. მარტო, აი ხელმწიფეა ფეთხუმი, უვარგისი, შერეკილი. მაგრამ ვინმე ობოლი, უქონელ-უპოვარი ან ნაბოლარა ძმა გამოტყვრება საიდანღაც, იმ ხელმწიფეს ყორალად ართმევს საბრძანებელს და თვითონ ჯდება ტახტზე, აბა! ისე ჭკვიანურად ბატონობს, ახლა ეს გაგახარებს: ტა-ტა-ტა-ტა, ნეტა ცხადშიც ეგრე იყოსო! მამა გიცხონდათ!.. და მაინც გვიყვარს ზღაპარი, მეც ამიტომ გიყვებით:



# ზღაპარი ხელმწიფისა და ჭაღარისა

იყო ერთი ხელმწიფე. როგორც ყველა ხელმწიფე, ისიც იმას ფიქრობდა, არასოდეს მოვკვდებიო. სიკვდილი იქით იყოს, იმასთან არც სიბერეზე ფიქრობდა. სიბერეს კიდევ სიკვდილი მოსდევს, ვინ აღარ იცის! ხელმწიფე თუ სიკვდილზე არ ფიქრობს, ეს იმას ნიშნავს, არც სიცოცხლის ყადრისა გაეგება რამე: სხვისი სიკვდილი იავნანასავით ესმის (ჰგონია, სასაფლაო იმიტომ მოიგონეს, მისი ხელქვეითები და ღარიბ-ღატაკი ხალხი რომ მიებარებინათ მიწას, თანაც ახალი ხელობა, მესაფლავეობა გაჩენილიყო. სასაფლაოზე მკვდარს თუ აღარ მარხავენ, გაუქმებულ სასაფლაოს ეძახიან იმას. ეს ხელმწიფე კი, სახნავ-სათესი არ დამიცოტავდესო, ვინც წუთისოფელი მოჭამა, ანუ საიქიოს გაემგზავრა, ერთ სასაფლაოზე მარხავდა ყველას, გუშინ რომ აბალახებული იყო საფლავის ბორცვი, გაიხედავ და, ახალი ჩანს. დღეს უკვე მეთერთმეტე მიცვალებული მოაქციეს იმ ბორცვქვეშ — მკვდრები არ ჩხუბობენო. ამინ მითქვამს! ერთი ალილუია მღვდელსაც თუ შეეშლება, ვითომ რა გასაკვირია, ერთი სიმართლე კიდევ ხელმწიფეს წამოსცდეს — მართალია მკვდრები არ ჩხუბობენ, მაგრამ ცოცხლებს რომ აჩხუბებენ, ესეც მართალია.

რაკი სიკვდილზე არ ფიქრობს ხელმწიფე, არც სასუფეველზე ფიქრობს და, რაღა თქმა უნდა, აღარც ღმერთის შიში აქვს — რაც მოეპრიანება, იმას აკეთებს. თანაც: ყველაზე დიდი ქონება-მეო, ყველაზე კარგი სასახლე — მეო, ყველაზე ლამაზი გოგოც-მეო. გაგიმარჯოს!.. რა სისულელეც არ უნდა წამოროშოს, ყველაფერზე თავს უქნევენ ნაზირ-ვეზირები, აუჩემებიათ, უებრო, უბადლო, უკვდავი სიბრძნეაო, ჰოდა, რომ დაიჯეროს, არც გაემტყუნება. ეს ხომ ეგრეა, ახლა სხვაც იკითხეთ — მარტო მე უნდა ვილაპარაკოო. ვითომ საქვეყნო საქმეზე ლაპარაკს ამბობს, თორემ საკუთარ თავთან ლაპარაკს ვინ გიშლის! მარტო მე უნდა ვილაპარაკოო და ლაპარაკობს კიდევაც, მე შენ გეტყვი, დაღლას შეატყობ! გასუსულია ხალხი, ენა აქვს გადაყლაპული, ხელმწიფეს კი ჰგონია, ჩემი სჯერა და მისმენსო. ხალხი შიშით არის გათანგული, რას გაიგებ, უარესად როდის გადაუბრუნდება ტვინი, როდის წააქეზებს სიკვდილის მმაუფალი და როდის დაგვერევაო. ვერ დავმალავთ: იმ სახელმწიფოში ჯერჯერობით არც სახრჩობელა იცოდნენ, არც ჩაქვავება, არც თოფის დაკვრა, ამიტომ შიმშილით, სიცივით, ჯავრით ხოცავდნენ ხალხს, იაფია და იოლიაო.

ხომ ეგეთი ურჯუკი ვინმე იყო ის ხელმწიფე, იქნებ არ დაიჯეროთ და, სიცილს მაინც არ აკლებდა ხალხს — აუგად იხსენიებდა თავის წინაპრებს, სახელი და ღირსება რომ დავაკლო იმათ, მე მომემატებაო. ჯერ რა სახელი და ღირსება ჰქონდათ, მაგრამ რაც ჰქონდათ, იმასაც აკლებდა. ღარიბ-ღატაკს რაც უნდა უმნიშვნელო რამე მოპარო, დიდად გამოჩნდება მაინც. ეგრეა! რაღა შიმშილმა, სიცივემ, ჯავრმა მოგვკლას, სიცილით სიკვდილი არა სჯობიაო — სიცილითა კვდებოდა ხალხი, საბედნიეროდ არც მაშინ მარხავდნენ სიცილით დახოცილ ხალხს. ასე და ამგვარად, ყოველდღე იხოცებოდა ხალხი სიცილით: თავისი რეგვენი წინაპრებივით

ამასაც რომ წაილებს შავი მიწა, ახალი ხელმწიფე კიდევ ამისი გინებით გაგვართობსო. კინაღამ დამავიწყდა: იმ სახელმწიფოში ყველაზე უფრო მკვდრების გათათხვა უყვარდათ, ცოცხლები გავაბუოთ, ვაითუ ან რამე წამოგვძახონ, ანდა ამოგვიქექონო. სხვათა შორის, ქათამსაც უყვარს ქექვა. გახსოვთ, ალბათ, ერთმა მამალმა სანაგვეზე ქექვისას მარგალიტი რომ იპოვნა და გული დასწყდა, ეს ბრჭყვიალა კენჭი რა ოხრად მინდოდა, ნეტა ფეტვის მარცვალი მეპოვნაო. ნეტამც!

მოახსენეს ერთხელ ამ ხელმწიფეს:

— მეჭურჭლეთუხუცესი მოკვდაო.

— სადარბაზოდ უხმეთ ვეზირებს, ახალი მეჭურჭლეთუხუცესი ავირჩიოთო.

— მანამდე რა ვქნათო?

— მანამდე აკი ვეზირების დარბაზობა ვბრძანეო!

— ეს მეჭურჭლეთუხუცესი, მიქელგაბრიელმა რომ მოიკითხა, ერთთავად თქვენს კიდევ უფრო გამდიდრებაზე ფიქრობდა, ხელმწიფეო, უბრალო გუთნისდედასავით ხომ არ გავასვენებთო?

შეწუხდა ხელმწიფე:

— რა ეჩქარებოდა, წლის ბოლოს გადაბარგებულიყო წიაღსა შინა აბრამისასა, მაშინ, აი, რა ჰქვია, ხარკის აკრეფას რომ მორჩებოდაო... ეგრე ადრე არ უნდა მიეყუდებინა ყალიონიო.

— გაუგებელია სიკვდილი, ხელმწიფეო, ამდენი სად ესმისო.

— შეიძლება, მაგრამ თვითონ მეჭურჭლეთუხუცესი არ უნდა წაჰყოლოდა, სამშობლოს ღალატია ეგაო.

ამით ანიშნა ხელქვეითებს, უზარზეიმოდ წააყარეთ მიწაო.

ასეც გაასვენეს.

მაშინაც ეგრე იყო: სამშობლოში ჯერ ხელმწიფე იგულისხმებოდა, მერე მისი ნაზირ-ვეზირები.

გაუგებელი რომაა სიკვდილიო, თითქოს დარწმუნდა ხელმწიფე.

ერთხელ, მადა არ დაკარგოსო, სადილობას რომ მორჩა, მერე მოახსენეს:

— დედოფალი კვდება, ხელმწიფეო.

— ჩემს ნახვას ხომ არ ნატრობსო? — ხელმწიფური სიდინჯით იკითხა.

— არაო, მაგრამ ხელმწიფემ აკი ყველაფერი უნდა იცოდეს, რაც თავის სამფლობელოში ხდებაო.

— ეგეც უნდა იცოდეს და ისიც, რაც მოხდებაო.

ტახტიდან არ წამომდგარა ხელმწიფე, ხელებში ჩარგო თავი — ვითომ ისე შეწუხდა, მთლად აებნა თავგზა, ისიც ვერ მოახერხა, მომაკვდავი ცოლის სარეცელთან დაეჩოქა და შევედრებოდა: ჯერ ნუ წახვალ დედოფალთ-დედოფალო, უდროო დროს ნუ დააობლებ შენს საყვარელ სახელმწიფოსო. არადა, არ უყვარდა ცოლი, ქონებას მინიავებს, ბევრ ოქრო-ვერცხლსა ხარჯავს თავის სამკაულებზეო. ბარე ათჯერ დააპირა მოწამვლა — როგორც ხელმწიფეთა წესია, ჯერ მოვწამლავ, მოვკლავ, მერე თავში წავიშენ, ვიტირებ და ვივაგლახებ, თანაც ისე გავასვენებ, ისეთ ძეგლს დავუდგამ, უკეთესი ზღაპრადაც რომ არა თქმულაო. მაგრამ ათჯერვე გადაიფიქრა ცოლის თავიდან მოშორების ანუ მომდევნო ცოლის შერთვის ეს ჩვეულებრივი, მთლად უბრალო ხერხი, უფრო მბრძანებელთა ხერხი — სიმამრისა ეშინოდა. მის სიმამრს ცხრა ზღვათა ხელმწიფეს ეძახდნენ, არადა, მთა-გორებიც ჰქონდა, ველ-მინდვრებიც, სახნავ-სათესიც, საძოვარიც, ბაღ-ვენახებიც... არც სანადირო ადგილები აკლდა, არც ნადირი; არც ხვასტაგის ნაკლებობას უჩიოდა, არც ფრინველისას. შეუთვალა სიმამრმა, ჩემს შვილს არაფერი დაემართოს, თორემ ომის გამოუცხადებლად დაგეცემი, დაგამარცხებ და ისე გაგალატაკებ, ნამალევი ცოლებიც სანატრელი გაგიხდესო. ამ ჩვენს ხელმწიფეს პირველად მაშინ ეცა სიკვდილის ელდა, მღვდელმთავარმა რომ უთხრა, ღარიბ-ღატაკს, უქონელ-უპოვარს უფრო ეტანება სიკვდილი, ამან წამოახტუნა ტახტიდან და, რატომღაც სარკეში ჩაიხედა: აქა-იქ ჭაღარა შერეოდა თმაში.

— სახლთუხუცესს მიხმეთო!

უხმეს.

— არ თოვს — ფიფქი დამცემოდა, არც წისქვილში ვყოფილვარ, არც საკირეში, ეს თეთრი რაღამ გამომირია თმაშიო?

შეეშინდა სახლთუხუცესს, სიმართლე რომ ვუთხრა, ვაითუ ეწყინოს და სასახლიდან გამაძევოსო, სულ სხვა უთხრა ამიტომ:

— დასტაქარს ეცოდინება, ხელმწიფეო.

— დასტაქარს მიხმეთო!

უხმეს.

— რისი ნიშანია ესა, თმა რომ მითეთრდებაო?

— სიბერისა, ხელმწიფეო.

— სიბერე რისასი ნიშანიაო?

— სიკვდილისა, ხელმწიფეო.

დაღონდა ხელმწიფე, თურმე მეც უნდა მოვკვდეო — არ სჯეროდა მარადიულ წყვდიადში რომ უნდა გადაბარგებულიყო ოდესმე, მაგრამ მაინც დაღონდა. მოვიდა უკვე მიმჯობინებულ დედოფალთან, ეუბნება:

— თურმე მეც უნდა მოვკვდეო.

— მარტო შენ კი არა, თურმე მეც უნდა მოვკვდეო, — დედოფალიც დაღონდა.

— სად ხელმწიფე და სად დედოფალიო, — ეწყინა ხელმწიფეს.

— არ გაგიგია, სული ტკბილიაო?

— ვიდრე მოკვდები, რას მირჩევ, როგორ მოვიქცეო.

— მეც მაგის თქმას ვაპირებდიო.

— მაშ რა ვიღონოო?

— ბრძენსა ჰკითხეო.

ჰკითხა.

— მეც ვერაფერს გირჩევ, ხელმწიფეო, — უპასუხა ბრძენმა, — ხალხში გადი, მოისმინე, — რას ამბობენ, დაინახე, რას აკეთებენ, რა აცვიათ, რას ჭამენ, სად ცხოვრობენ და იქნებ მაგის პასუხსაც მიაგნოო.

დაუჯერა ხელმწიფემ, მთლად უბრალო გლეხური ტანისამოსი ჩაიცვა და სოფელ-ქვეყანაში გავიდა. თვალის მოსავლებად სხვა დროსაც შემოუვლია სახელმწიფო, მაგრამ იმ სხვა დროს ხელმწიფურად იჯდა ხოლმე ხელმწიფურ ცხენზე და ხალხიც ისე ხვდებოდა როგორც მბრძანებელს ეკადრება.

მიდის ხელმწიფე გზაზე, გაიხედა — ვიღაც კაცი მოიკაკვება, ჩამოკონკილ-ჩამოფლეთილი ტანისამოსი აცვია, ისე დასჩერებია მიწას, თითქოს რაღაც დაკარგვია და იმას ეძებსო; ჯოხი უჭირავს ხელში და ნაადრევად გაყვითლებული, მოწყვეტილი ფოთოლიც რომ დაინახოს, იმასაც გადააბრუნებს ხოლმე.

გამარჯობა — გაგიმარჯოსო.

— ვინა ხარო? — ეკითხება ხელმწიფე.

— მათხოვარიო.

— რამ გაგამათხოვრაო?

— ეგ ხელმწიფესა ჰკითხეო, — ისე ჩაუარა გვერდზე, ზედაც არ შეუხედავს.

გზა ორღობეში შევიდა. გაზაფხულია და აყვავებულია მიდამო: ალაგ წითელი ფერი ჭარბობს, ალაგ — ყვითელი, ალაგ — თეთრი, ღობის ძირებში კიდევ ია იცინის და ია-ჟუჟუნაც, სამფერ ყვავილს რომ გამოიტანს ხოლმე, ისა. ეცინებათ და იცინიანო იცინის ასკილი, თან ისე აკანტურებს თავს, იფიქრებ, ყვავილზე ფუტკარი რომ აზის, მისი მოშორება უნდაო. აყოტებულ წითელ სატაცურს ხვართქლა შემოხვევია, აქა-იქ ისე ჩაურიგებია ყვავილი, ისე გამოზომილად, ნიავი რომ წამოუბერავს, გგონია, ერთმანეთს დასაჭერად მისდევენო. იქაურობა გაზაფხულის სურნელით გაჟღენთილა, ჩიტებიც გალობენ, ჭიკჭიკებენ, სასაფლაო ჩანდეს ახლომახლო, ამაზე მეტი საცოდაობა რაღა იქნება! მაგრამ ვერც აყვავებულ ხეხილს ამჩნევს ხელმწიფე, ვერც ბუჩქებს, ბარდებს, ამობრიალებულ ბალახებს, ვერც გამაბრუებელ სურნელს, ვერც ფრინველების გალობა-ჭიკჭიკს: თავისი დღე და მოსწრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამდენი არასოდეს უვლია ფეხით და, ცოტა თუ არ შეისვენა, სადაცაა სასახლეს მოიხომავს ანუ წაიქცევა. ხელმწიფის წაქცევა კიდევ, ვინ აღარ იცის, უხერხულია, სირცხვილი რომ არ იყოს.

უცებ ყვირილი ესმის ხელმწიფეს, ჯერ კაცის ყვირილი — ჰაიტ, შე უვარგისოო! მერე ბავშვის ტირილი. მშვენიერ ცოცხალ ღობეში თვალის გასატარებელს მოძებნის ხელმწიფე, რაო და, ბიჭსა სცემენო რბილი სახრით. ზედ იქვე გუთნეული გაჩერებულა და აღრიალებულ ბიჭს მისჩერებია ცოხნით. კვალში გუთანია ჩაგდებული, ბელტი გადაუბრუნებია და, თითქოს იმ ბელტს გადაჰყვაო, თვითონაც გადაცერავებულა.

— ეგ ბიჭი რა არის შენიო? — კაცს ეკითხება ხელმწიფე.

— შვილიაო.

— მე პაპა მეგონე, ისე ხარ გაჭაღარავებულიო.

— ჩვენი გაუგებელი ხელმწიფის ხელში უარესად რომ არ გავჭაღარავდი, მე ის მიკვირსო.

— რა დააშავა, ეგრე გამეტებით რომ სცემეო?

— ხარ-კამეჩი საძოვარზე გავალალინე, გრილოში წაუძინია და ჯეჯილი გადაუძოვებიაო.

— ისევ წამოიზრდებაო.

— წამოზრდით როგორ არ წამოიზრდება, მაგრამ წანახედი მაინც უნდა ვზღაო. ეს წანახედიო, ესაო, — ბეგარაო, ხელმწიფის ვალიო. წლიდან წლამდე თავი რომ გამაქვს, ვაი, იმ გატანასო...

გზა განაგრძო ხელმწიფემ — სოფელში შევიდა, გაიხედა მიცვალებულს მიასვენებენ. ქუდი მოიხადა და გაჩერდა,

— რამ მოკლა ეგრე ახალგაზრდაო? — იკითხა ხელმწიფემ.

— ხელმწიფის გაუმაძღრობამო, — უპასუხეს.

— ვერ გავიგე, რა მითხარიო?

— შიმშილმა, შიმშილმა მოკლაო.

დაღონდა ხელმწიფე: ეს რა შავ დღეში ჩამხყრია ხალხი, ჩემი ნაზირვეზირები კი მეუბნებოდნენ, ჩაიქცნენ დოვლათში — თავზე გადასდით ქონება, სულ შენს მზესა ფიცულობენ, თუ არა ტირიან, მღერიანო; თუ არ მღერიან, ტირიანო.

გასცდა სოფელს ხელმწიფე, მდინარეს მიადგა. მიდის კამკამა მდინარე, მილივლივებს, აქეთ-იქითა ნაპირებზე ხე და ბუჩქნარი რომ ჩასდევს, ის ჩაუხატავს თავდაყირა.

ბილიკს ჩაუყვა ხელმწიფე, წყურვილსაც მოვიკლავ, დავისვენებ კიდევაცო. ბილიკმა წყალთან მიიყვანა და წისქვილთანაც. წისქვილის მოღიავებულ კართან გაჭაღარავებული მეწისქვილე ჩამომჯდარა კუნძზე და წყალს დასჩერებია — ფოთოლი მიაქვს წყალს: ხან ჩინჩხილში მიაგდებს და ატრიალებს, ხან უკან აბრუნებს ისევ, ასე აწვალებს ფოთოლს.

— რად გაგიჩერებია წისქვილიო? — ეკითხება ხელმწიფე.

— ჯერ გამარჯობა მითხარი და მერე გეტყვიო.

— გამარჯობაო.

— ეგეთ გამარჯობას რაღა მადლი აქვს, მაგრამ მაინც გაგიმარჯოსო. საფქვავი აღარავის მოაქვს და იმიტომ გადავუგდე წყალიო.

— ეგრე რამ გააღარიბა სოფელიო?

— ეგ ხელმწიფესა ჰკითხეო.

— რამდენი წლისა იქნებიო?

— ოცდაათისაო.

— ასე ნაადრევად რამ გაგაჭაღარავაო?

— ეგეც ხელმწიფეს ჰკითხეო.

— მე ოთხმოცდაათისა ვარ და სულ ახლახან გამომერია ჭაღარა, ისიც ორიოდე ღერიო.

მეწისქვილემ წყლისკენ გაიშვირა თითი:

— შენა, შვილოსა, ემაგ ფოთოლივით არ გაუცოდვილებიხარ ცხოვრებას და იმისი მიზეზიაო.

მეწისქვილე წამოდგა, წისქვილში შევიდა, ბერვა-ბერვით გამოიტანა ცხელი, მრგვალი ხმიადი, შუაზე გატეხა და ნახევარი ხელმწიფეს მიაწოდა.

— მიირთვიო.

ხელმწიფე, რაღა თქმა უნდა, ხელმწიფურ საჭმელს მიირთმევდა ხოლმე. ძალიანაც შიოდა, მაგრამ ნაცრიანი ხმიადი რომ დაინახა, შეშინდა, ემანდ, არ მაწყინოსო:

— ახლახან გეახელითო.

— მიწოდებულ პურზე უარის თქმა სად გაგონილა, ერთი ლუკმა მაინც უნდა წაიტეხოთო.

თავს ხომ არ გასცემდა, ხელმწიფე ვარ, ნაცრიანი ხმიადი არ მეკადრებაო — მართლაც ერთი ლუკმა მოაციცქნა და მეწისქვილე კუნძზე დასაჯდომად რომ ჩაიხარა, ხელუკულმა გადააგდო. იქვე, წისქვილის კედელთან, ქათამი ფუტკნაობდა, დაინახა გადაგდებული ლუკმა, წამოფრთხიალდა და კენკვა დაუწყო. ამით მიხვდა მეწისქვილე, ჩემი ღარიბული მასპინძლობა არ იკადრაო, მაგრამ საყვედური არ უთქვამს, გულში კი გაივლო: უმადური ვიღაცა ყოფილა, ჰოდა ლუკმა ქათამზე უფრო მადლიაო.

ხელმწიფემ წყალი დალია პეშვით და ძალიან, ძალიან ეგემრიელა, მარტო იმაზე დასწყდა გული, სხვამ რომ არ მიაწოდა, თანაც ვერცხლის სურით.

მთელი დღე დადიოდა ხელმწიფე და ვის აღარ შეხვდა: ხარაზი გინდა, დურგალი, კალატოზი, ხურო, მკითხავი, ნაშვილები, ობოლი, მღვდელი, ნამღვდელარი, მონადირე, მწყემსი, მასწავლებელი თუ შეგირდი. გვალვა იყო და დიდებაზე მოსიარულე, გაწუწულ დედაკაცებსაც გადააწყდა. ვისაც რა სატკივარი სჭირდა, ყველაფერი ხელმწიფის ბრალი ყოფილა თურმე. ბოლოს ბანიანი სახლებით მოფენილი სოფლის ცენტრში სამჭედლო დაინახა — საბძელს უფრო ჰგავდა. მზეს ახედა — შუბის ტარზე იყო დასული. ჩათქმული მქონდა, მზის ჩასვლამდე უნდა მიმევლმომევლო სოფელ-ქვეყანა, დაღამებამდე დროა კიდევ, მოდი, ბარემ, სამჭედლოშიც შევივლიო. შეიარა. სამი კაცი იყო სამჭედლოში: ერთი საბერველს აქშინებდა, ერთს ხანჯალი გამოჰყავდა, ერთი კიდევ კვერს უკრავდა: სადაც მჭედელი დაარტყამდა ჩაქუჩს ანუ ანიშნებდა, ეს ადგილია გასაბრტყელებელიო, იქ დაუშვებდა ხოლმე კვერს გამეტებით, თანაც საბერველივით ქშინავდა. ყველაზე ხნიერი მჭედელი იყო, ჩაცმით კი ყველას ერთნაირად ეცვა — ღარიბულად. გაეცნო ხელმწიფე, მგზავრი ვარო.

ესა თქვეს, ისა თქვეს, მერე ხელმწიფემ ქეჩო მოიქექა გლეხურად და იკითხა:

— ღარიბი მჭედელი ათადან-ბაბადან არ გაგონილა, თქვენ რაღამ გაგაღარიბათო?!

— რა ჯანდაბა გაგვამდიდრებს, რაც ეს ხელობა ვისწავლე, მას აქეთ ჩვენი შერეკილი ხელმწიფე სულ ომებშია ჩაკარგული, უფრო მარცხდება, ვიდრე იმარჯვებს, სხვა რა გზაა, ჩვენც ხან ხანჯლებს ვაკეთებთ, ხან შუბებს, ფარებს, მუზარადებს, ჯაჭვის პერანგებს, აღარც კი მახსოვს, სახნის-საკვეთი სულ ბოლოს როდის გამოვკვერეო; საომარ იარაღებში ფულს არავინ იმეტებს და, ერთი ესეც მიბრძანე, მგზავრო პატიოსანო, უფულოდ ვინ რას იძლევაო?

— ჰოო, ხელმწიფის ბრალი ყოფილაო.

— მტერთან დამარცხება სხვა ვიღასი ბრალი უნდა იყოსო: თვითონ დამარცხდება მტერთან და ხარკს ჩვენ გვახდევინებენ, ჩვენა, საწყალ ხალხსაო. სიბერეზე რომ ფიქრობდეს ხელმწიფე, სიბერესა და სიკვდილზე, იმასაც ეშველებოდა და ჩვენცაო.

— ხელმწიფე რომ შეგხვედროდა, თუ ეტყოდი მაგასო.

— არაფერსაც არ ვეტყოდი, აემ კვერს დავუშვებდი თავშიო.

— აბა, კარგად იყავითო, — მაშინვე გატრიალდა ხელმწიფე — თავისი დიდებული სასახლისკენ მიმავალ გზას დაადგა.

მიდის ხელმწიფე, აჩქარებული მიდის და აკი სიარულმა გალია გზა. შევიდა სასახლეში, ტანისამოსი გა-

მოიცვალა, მადიანად ივახშმა, მერე ოქროს გვირგვინი დაიდგა, ოქროს კვერთხი დაიჭირა, ოქროთი მოჭედილ ტახტზე დაბრძანდა, ესე იგი, ხელმწიფედ იქცა ისევ. ნაზირ-ვეზირები შემოეხვივნენ, ცოლ-შვილიც, ეკითხებიან, რა ნახე და რა გაიგონეო. მაგრამ ხმას არ იღებს — ჭერს ასჩერებია. კიდევ რომ ჰკითხეს, რა ნახე და რა გაიგონეო, მაშინ კი იყვირა:

— დამტოვეთო!

არ დაეტოვებინათ, რომელი ხელმწიფე მოითმენდა!

მარტო რომ დარჩა ხელმწიფე, დაფიქრდა: ყველაზე ძალიან მაშინ შევშინდი, სიძამრი, ცხრა ზღვათა ხელმწიფე რომ დამემუქრა, ჩემი შვილისთვის თუ აგიტეხია რამე, ომის გამოუცხადებლად დაგესხმები თავს, დაგამარცხებ და გაგალატაკებო. მაშინ გამომერია ჭალარაო. თურმე სიკვდილზე რომ არ ვფიქრობ, მგონია, სულ ასე ახალგაზრდა ვიქნები, ასეთ გაჭირვებაში იმიტომ მყოლია ხალხიო. ამის შემდეგ სიბერეზეც ვიფიქრებ, სიკვდილზეც, ჩემი ხალხის კეთილდღეობაზეცო. ერთი სიტყვით, უნდა გამოვსწორდეო.

ორიოდე კვირით მართლაც დადინჯდა, დალაგდა, ენაც დაიწმინდავა და ბრძანა კიდევაც, საომარი იარაღის კეთებას მოეშვითო, სახნის-საკვეთი, ნალი, თოხი, ბარი, ცული, ცელი, წალდი, სასხლავი, ფორჩხი, ნამგალი და ურო გამოჭედეთო. მაგრამ მერე ღვინოც მოსწყურდა, ომიც და ძველ გზას დაადგა, ისევ, ახლა ეს აიკვიატა: მაინც უნდა მოვკვდე და, რაც მინდა და მენატრება, ის რაღაზე მოვიკლოო. სიტყვა ვერავინ შეუბრუნა, რა ძალა გვადგას, ხელმწიფეა და ვიდრე მიქელ-გაბრიელი მოგვიკითხავს, არ დაეფიცება, მანამდე გაგვგზავნოს მოუსავლეთშიო.

დიახ, იყო ასეთი ხელმწიფეც. როგორც ყველა ხელმწიფე, ისიც იმას ფიქრობდა, არასოდეს მოვკვდებიო.

ნეტა, რას ჩავაცივდით ხელმწიფეს, სხვა ვინლა ფიქრობს სიკვდილზე? თუმცა სიკვდილზე კი ვფიქრობთ, მაგრამ არ გვჯერა, ჩვენს წასაყვანადაც თუ მოიცლის ოდესმე.

**მინაწერი:**

ყველა ზღაპარი კეთილად მთავრდება, ასე ამიტომაც გვიყვარს ზღაპარი. ცნობილია: ის უფრო ეტანება ზღაპარს, ვისაც ცხოვრება არ ულხინს, თავის მოტყუება ჰქვია ამას. არც მე მილხინს ცხოვრება, მაგრამ კეთილად არ დამიმთავრებია, ვინაიდან სინამდვილე სულ სხვასა გვკარნახობს. ესეც არ იყოს, უკან ჩავლილ წლებში დამრჩა ოცნებისა და იმედის სიმშვენიერე — დიდი ხანია, რაც ჭაღარა დამენახვა სარკეში!

# „[illegible]"...

ლამარა კიკილაშვილი

იოსებ გრიშაშვილი...

თითქოს გუშინ იყო, რედაქციაში ქაღალდებით ჩანიშნული თავისი წიგნებით რომ მოვიდა ლექსების ჩასაწერად. ვამზადებდით გადაცემას მისი დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით. ეს იყო 1959 წლის გაზაფხული.

ყველას ახსოვს, როგორ კითხულობდა იოსებ გრიშაშვილი ლექსს. რაც უნდა ეკითხა, ხმაში სიხარული და აღტაცება მუდამ ერია, სიხარული და აღტაცება პოეტური სიტყვის გამო, სიტყვის უკიდეგანო შესაძლებლობათა გამო... კითხულობდა ერთგვარი იუმორით, თავისებური წამღერებით.

ასეთია ჩანაწერებიც, იმ დღიდან რადიოს ფონდის კუთვნილება რომ გახდა.

ლექსების ჩაწერა რომ მოათავა, გვითხრა, ხარფუხში უნდა მეწვიოთო, თუ ჩემი ბიბლიოთეკა არ ნახეთ, გადაცემა არ გამოგივათო.

მართალიც იყო...

ძველი თბილისი მაშინ ჯერ კიდევ ძველთბილისობდა...

ახლა ეს მშვენიერი, რესტავრირებული სახლები და უბნები მუზეუმის ექსპონატებს უფრო წააგავს... მაშინ — მტკვრის მომწვანო ტალღების გასწვრივ, მეტეხსა და ნარიყალას შუა დაკიდული ვიწრო და წელგამწყდარი ქუჩები, მეტეხის ფრიალოზე მერცხლის ბუდესავით მიკრული აივნები და ერთმანეთზე შემდგარი ბანიანი სახლები ცოცხლობდა, სუნთქავდა. ჯერ კიდევ იგრძნობოდა აქაურობისთვის დამახასიათებელი ძველებური ხმაური, ძველებური სიჭრელე, ძველებური ფერი და იერი.

ავიარეთ უცნაური, გრძელი და მიხვეულ-მოხვეული აღმართი, ამ სიძველეთა ტრფიალმა — იოსებ გრიშაშვილმა დაუვიწყარი რომანსი რომ უძღვნა („ჩემი აღმართი") და იმ სახლს მივადექით, ძველი, ბანიანი სახლის ადგილას რომ დგას, იმ სახლის ადგილას, სადაც ოდესღაც პოეტის მამა ცხოვრობდა და, რომლის კედლებზეც თვით პოეტი ბავშვობაში „ნახშირით წერდა პირველ ანბანს"...

სახლი ახალი დამთავრებული იყო, წიგნები, ის იყო, გადაეტანა, ბევრი რამ ისევ იატაკზე ეწყო, ჯერ ყველაფერი არ მოეწესრიგებინა... მაინც ხალისით დაგვათვალიერებინა თავისი ფასდაუდებელი საუნჯის ნაწილი.

— ორმოცი ათასზე მეტი წიგნია ჩემს ბიბლიოთეკაშიო, გვითხრა და გვაჩვენა ორი დიდი თარო, მარტო „ვეფხისტყაოსნის" გამოცემებს რომ ეკავა. აქ იყო „ვეფხისტყაოსნის" ქართული და უცხოური გამოცემები — ოთხმოცზე მეტი ეგზემპლარი, ვახტანგისეული გამოცემიდან ბერლინში ქართულად გამოცემულ წიგნებამდე, რომელიც მისთვის ექვთიმე თაყაიშვილს ებოძებინა.

გვაჩვენა გოჯის ოდენა წიგნებიც: „ყურანი"... პუშკინის „ევგენი ონეგინი"... ამ წიგნთა შორის ასეთ უცნაურობასაც წააწყდებოდით — „ფასი — ერთი მეოთხედი კაპიკი"... ეს გახლდათ „გლოვა ირაკლი მეორისა თუშ-ფშავ-ხევსურთაგან" — ხალხური ლექსების კრებული. ერთ წიგნს კი ასეთი რამ ეწერა — „ფასი 10 კაპიკი, ყდა — მანეთი და ოთხმოცდაათი კაპიკი"...

გვაჩვენა მრავალი იშვიათი წიგნი, მრავალი იშვიათი ჟურნალი და გაზეთი...

1911 წელი. ჟურნალი „განათლება". აქ იყო გალაკტიონის ლექსი — „შემოდგომა", რომელსაც იგი იოსებ გრიშაშვილს უძღვნიდა.

— ჯერ კატალოგი არ შემდგარა, წიგნები მოუწესრიგებელია, როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავლაგდები, უთუოდ მეწვიეთ, ხევრ რამეს გაჩვენებთ საინტერესოს... ეს მარტო წიგნთსაცავი კი არა, ნამდვილი მუზეუმი იქნებაო, გვითხრა და გვაჩვენა ძველებური ქართული და თბილისური საკრავების კოლექცია — ჩონგური, ჭიანური, თარი და საზი... არღანი... ამ საკრავებზე ოდესღაც უკრავდა და თავის მშვენიერ ლექსებს ამღერებდა ჭაბუკი ბესიკი... ამ საკრავებზე მღეროდნენ თბილისელი მომღერლები — სათარა და ჯაფარა, რომელთა ტკბილი ხმა ხიბლავდა ჭაბუკ ბარათაშვილს... მეც ამიტომ შევაგროვე და შევინახე... დარჩეს, იცოდეს შთამომავლობამო...

ჩვენ ვნახეთ ძველი თბილისის მოქალაქეთა — ყარაჩოღელთა ნივთების საინტერესო კოლექციაც — ვერცხლეული, ყანწები და აზარფეშები, ღვინის დოქები, ვერცხლის ქამრები, კრიალოსნები... და როგორ სათუთად ეხებოდა ყოველ ნივთს, რომელიც ჩვენს წარსულზე, თბილისის ისტორიაზე ამბობდა რაიმეს, რა ალტაცებით ლაპარაკობდა...

მაინც ყველაზე მეტად უკანასკნელი შეხვედრა შემორჩა ხსოვნას. ეს იყო იმავე წლის შემოდგომაზე (თარიღი ზუსტად ჩამიწერია — 28 სექტემბერი), ყოფილ ლენინის ქუჩაზე, პოეტის სახლში.

იმავე გადაცემისთვის ზეპირი მოგონებების ჩაწერა გვინდოდა... ლექსებისაც.

საოცარ განწყობაზე იყო... მხიარული, ხალისიანი...

— დავბერდი? არა, ვერ დავიჯერებ! როგორ უნდა დავიჯერო, რომ სამოცდაათმა წელმა ჩამიარა! ამას ჩემი იუბილე თუ დამაჯერებს... გულს ისევ ისე უხარია... — თქვა და ლექსი მოაყოლა — „აპრილი თბილისში“ (ამ ლექსის ჩანაწერი ალბათ ბევრს ახსოვს... — „ჰაუუ... რა კარგი დღე არის! ეჰეეიი... რამდენი ქალია!..“).

იმ, ალბათ, ორი საათის მანძილზე ჩვენს თვალწინ იყო ძველი ხარფუხი, მისი ვიწრო და ხმაურიანი ქუჩები, წერა-კითხვის უცოდინარი, მაგრამ წიგნის მოყვარული ხარფუხელი ხელოსნები, პოეტის მეზობლები — ხაბაზები, სირაჯები, მეწაღეები, მეპურეები. ეს კეთილი და პატიოსანი, ძვირფასად მოსაგონარი ადამიანები. ძველი სკოლა, ძველი წიგნები და ჟურნალ-გაზეთები: ილია, აკაკი, ვაჟა... ძველი თეატრი — ვალერიან გუნია, ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, კოტე მარჯანიშვილი. მათი სიხარული, მათი გასაჭირი, მათი ბედნიერება და მათი წუხილი... და ეს ყოველივე — ეს სხვისი თუ საკუთარი ტკივილი და სიხარული, პირადი თუ საზოგადო ბედნიერება და გასაჭირი მას მოჰქონდა ცოცხა-



თბილისელი მეარღნე

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, მხიარული სიტყვით. გაგახარებდა და პირზე ღიმილს მოგგვრიდა.

თითქოს ხელახლა განიცდიდა იმ დღეების სიხარულს. თითქოს იმ მზიან-ჩრდილიან დღეებს მასში მხოლოდ მზე და სიხარული დაეტოვებინა. ალბათ სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო იმ უღრუბლო სასიყვარულო ლექსების ავტორი, ლექსებისა, ერთ დროს მთელმა ქალაქმა რომ იცოდა ზეპირად. ხელში ეჭირა ახალი, საიუბილეოდ გამოცემული კრებული, ფურცლავდა, იხსენებდა იმ სილამაზეს, რამაც ეს ლექსები დააწერინა... და ჩვენს თვალწინ იყო მთელი სამოცდაათი წელიწადი. ამ წლების სიხარული, მზე და ღრუბელი.

— ახლა ვრცელი მემუარები უნდა დავწერო... აქ მთელი ჩემი ცხოვრება იქნება, ყველაფერი, რაც მინახავს, რაც კი თავს გადამხდენია... წიგნს ერქმევა — „ქუჩაბანდიდან პროსპექტამდე"...

●

„ქუჩაბანდიდან პროსპექტამდე"... აქ პოეტის თავგადასავალთან ერთად ნაამბობი იქნებოდა თითქმის მთელი საუკუნის ისტორია ჩვენი ქალაქისა... ჩვენ ვისმენდით ამ ჯერ დაუწერელი წიგნის პირველ სტრიქონებს, პირველ გვერდებს, ცალკე ფურცლებზე მონიშნულ ფრაგმენტებს.

სამწუხაროა, რომ იმ დაახლოებით ორსაათიანი ფირის უდიდესი ნაწილი, ის ნაწილი, რომელზედაც პოეტის ზეპირი მონათხრობი იყო ჩაწერილი, ვიღაცის დაუდევრობით მაშინვე, ძალიან მალე დაიკარგა. დარჩა მხოლოდ ათიოდე ლექსის ჩანაწერი, რომელსაც იმ დღიდან თვალის ჩინივით ვუფრთხილდებით... დარჩა კიდევ უბის წიგნაკში ჩანიშნული ზოგი ამბავი:

„... დავიბადე 1889 წლის 23 აპრილს. მამაჩემი — გრიშა მამულაშვილი კალატოზი იყო, მოკრივე, პაპა — დათია მამულაშვილი გურული გლეხი ყოფილა, ბატონს გამოქცევია, ურემში, თივაში დამალული ჩამოსულა თბილისში, მოუნახავს ქალაქგარეთ ღარიბთა უბანი და ორთაჭალაში მებაღედ დამდგარა; მოსწონებია ბაღის პატრონის ეშხიანი ქალიშვილი — იაგუნდა და მასზე დაქორწინებულა.

მამაჩემი გრიგოლი მეორე შვილი ყოფილა. ორი და ჰყოლია. ერთი სოფელ დიღომში გათხოვილა, მეორე — კატინა, ალავერდში, სპილენძის ქარხნის მოურავზედ.

მამაჩემს სამი ცოლი ჰყოლია, პირველი — დიღმელი ქალი — მამუჩაშვილი. იმის სიკვდილის შემდეგ მეორე ცოლად მოუყვანია ისევ დიღმელი ქალი, მეორეც მალე გარდაიცვალა. დაქვრივებულ მამაჩემს შეურთავს სოლოლაკელი ქვრივი ქალი — კამბერჩუანთ ლიზიკო — ასე ეძახდნენ. ამ მესამე ცოლიდან სამი ვაჟი და ერთი ქალი ჰყოლია. მე მესამე ვაჟი ვარ, რომელსაც დამარქვეს იოსები. შემდეგ ქართული თეატრის არტისტებმა სოსო მიწოდეს. და ამ სახელს დღევანდლამდე სიამაყით ვატარებ.

მამაჩემმა წერა-კითხვა არ იცოდა, ნისიებს კედლებზე ნიშნებით წერდა. დედაჩემმა კი ქართული წერა და კითხვა მეზობელი ტოლებისგან შეისწავლა. შვიდი წლისა რომ გავხდი, დედაჩემმა თავიანი შაქრის სქელ ქაღალდზე გოგებაშვილის ანბანი დამიწერა. როცა სკოლაში მიმაბარეს, ნუცას სკოლა გავლილი მქონდა.

საინტერესოა ჩემი სკოლაში მიბარების ამბავი.

ხარფუხი მაშინ ღარიბებით დასახლებული გარეუბანი იყო, იქ შერეული მოსახლეობა ცხოვრობდა, ეს იყო ნამდვილი ინტერნაციონალური ნაწილი თბილისისა, მაგრამ ძირითადად მაინც ქართველები ცხოვრობდნენ. მხოლოდ ორიოდე ოჯახს ჰქონდა შესაძლებლობა თავისი შვილები სათავადაზნაურო სასწავლებელში მიებარებინა.

გული შეწრიტებოდა, როცა ვხედავდი სკოლაში მიმავალ მეზობლის ბიჭებს.

დედაჩემი კეთილი, გულისხმიერი ადამიანი იყო. შევჩივლე, მეც წავალ სკოლაში, იქნებ გიორგი შათირიშვილთან მიხვიდე, განცხადება დაგვიწეროს-მეთქი. გიორგი შათირიშვილი ოთხი შვილის პატრონი იყო, მწიგნობარი, ბაზაზი — „ივერიას" იწერდა. მამაჩემიც ბუნებით კეთილი კაცი იყო, მაგრამ სკოლაზე უარი მითხრა, სკოლაში მე არ მივლია და შენ რა გინდაო. გიორგი შათირიშვილი უხსნიდა, წერა-კითხვა რომ არ იცი და ნისიებს კედლებზე წერ, ისწავლის შენი შვილი და დავთარს შეგიდგენსო. ბევრი მუდარის შემდეგ დედამ და გიორგი შათირიშვილმა დაიყოლიეს მამაჩემი. ნავსი გატყდა. სკოლაში მიმაბარეს.

დირექტორი ექვთიმე თაყაიშვილი იყო, ქართულ ენას ალექსანდრე ნათაძე მასწავლიდა, გალობას — ზაქარია ჩხიკვაძე, ხატვას — ალექსანდრე მრევლიშვილი, ანგარიშს — თუში ქადაგიძე... „ლინეიკით" იცოდა ცემა, თუ ანგარიში შეგვეშლებოდა. ანგარიშში დღესაც ხიხო ვარ, რიცხვის თვლაში ვერ ვერკვევი.

ვაი, რომ ცოტა ხანს მომიწია სკოლაში ყოფნა...

მამა მალე გარდაიცვალა, დედა გათხოვდა. დავრჩი მარტო უბნის ხელოსნებთან. ლუკმა-პურის საშოვნელად მძიმე სამუშაოსაც არ ვთაკილობდი. მაგრამ კითხვა მიყვარდა და წიგნის სიყვარულმა ცხოვრების გზაზე გამომიყვანა...

ჩემს უბანში ბევრი მოვაჭრე იყო. აქ იყო დუქნები ყასბებისა, მეპურისა, მეხილისა, მეწვრილმანისა. არცერთმა არ იცოდა კითხვა, გარდა მეპურისა. ამ მეპურის გვარი იყო ლებანიძე. ის მწიგნობარი იყო. ბევრი ქართული წიგნი ჰქონდა, ჟურნალ-გაზეთებსაც იწერდა. მახსოვს გაზეთი „სხივი", მისი დახურვის შემდეგ გამოდიოდა „ელვა", „ეკალი", „გრიგალი" და სხვა. „ნიშადურსაც" იწერდა, „ეშმაკის მათრახსაც". ამ გაზეთის ყველა ნომერი შეგროვილი ჰქონდა და კედელზე მიკრული. მახსოვს იმდროინდელი ლექსები — დაბეჭდილი გაზეთ „ელვაში"... აი, რატომ მიყვარს რაჭველები: სხვა ვის მოუვიდოდა აზრად, რაც მათ გააკეთეს... ამ ჯანლონით სავსე მეპურეებმა, მეხაშეებმა, მზარეულებმა, ხელზე მოსამსახურეებმა — იობიძეებმა, მერკვილაძეებმა, კერვალიძეებმა, სხირტლაძეებმა — წიგნის ამკინძავმა ხალხმა — წაიყვანა ხანდაზმული აკაკი 1912 წელს რაჭაში... როცა წამოვიზარდე და ცხოვრებას თვალი მოვავლე, ვხედავ, რომ რაჭველები პატიოსანი ხალხია.

დედა რომ გამითხოვდა, ამ ხალხმა მიპატრონა. მახსოვს ჩემი ნათლია — ცალხელა სირაჯი ალექსანდრე მაისურაძე — ხელი კრივის დროს წაეხდინა. რა დამავიწყებს მის მასლაათსა და სათნო სახეს. ვუყვარდი, მიყვარდა, კარგი ყოფილა ნათლიჯალაბობა...

გიორგი ლებანიძის „ბიბლიოთეკაში" გავიწაფე კითხვაში. ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი, ჩემს უბანში წიგნის კაცად რომ ვითვლებოდი. „ყარამანიანი", „ომანიანი", „გურამიანი", „ქოროღლიანი" უყვარდათ ჩემს მეზობლებს და მაკითხებდნენ, „ყარამან ყანთელმა როგორ ასწია მთა და ქვეშ ჯარი გაატარაო..." — უხაროდათ... ასე შევეჩვიე კითხვას. ამ კითხვის ამბავი იყო, რომ ხარფუხელმა ბიჭმა — გოგიჩაიშვილმა თეატრში წამიყვანა და სუფლიორობა გამაწევინა. ამის შემდეგ დავუახლოვდი თეატრს"...

წიგნი — „ქუჩაბანდიდან პროსპექტამდე" ამ სახით აღარ დაწერილა, მაგრამ იოსებ გრიშაშვილის მშვენიერი მოგონებები და ჩანაწერები შეიძლება ამ სათაურით გაერთიანდეს, ერთად შეკრებილ ამ საინტერესო მოგონებებს, შეიძლება სწორედ ასეთი სათაური დაერქვას.

# მტრედები



## კეთრინ მენსფილდი
(ინგლისი)

რა თქმა უნდა, მან იცოდა და ყველაზე უკეთესადაც, რომ ერთი ბეწო, იოტისოდენა წარმატების იმედიც არ შეიძლებოდა ჰქონოდა, ამაზე ფიქრიც კი უაზრობა იყო, იმდენად აბსურდი და უაზრობა, სრულიად ვერ გაუკვირდებოდა ქალის მამას რომ... ჰო, ქალის მამას, რაც არ უნდა მოემოქმედა, მასზე უბრიანი იქნებოდა. მართლაცდა, მხოლოდ ერთბაშად მოვარდნილმა სასოწარკვეთამ, მხოლოდ და მხოლოდ იმან, რომ ეს ინგლისში მისი ყოფნის უკანასკნელი დღე იყო და ღმერთმა უწყის, კვლავ როდისღა დაბრუნდებოდა, იძულებული გახადა ეს ნაბიჯი გადაედგა. მაგრამ აი ახლაც კი კომოდის უჯრა გამოაღო, ცისფერი, კრემისფერუჯრედებიანი ყელსახვევი ამოარჩია და საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, დავუშვათ, ქალმა უთხრა: „როგორ ბედავთ, რას თავხედობთ!" თუ გაუკვირდება ნეტავი? სრულიადაც არა, — გაიფიქრა მან. თან პერანგის რბილი საყელო ჯერ აიწია და მერე ყელსახვევზე გადმოიკეცა. ასეც ელოდა, ქალი ალბათ რამე ამდაგვარს ეტყოდა, არა და ამ საქმეს სალად თუ შეხედავდა, აბა სხვა რაღა შეეძლო ქალს ეპასუხა.

აი, ასეა საქმე, ბატონო! სარკის წინ მდგომმა ხელის ნერვიული მოძრაობით ყელსახვევი გაიკვანძა, ორივე ხელი თმაზე ჩამოისვა და ჟაკეტის ჯიბის პირები გაისწორა. მთლად ხუთასი ან ექვსასი გირვანქა სტერლინგია წლიური შემოსავალი ხილის ბაღიდან და ისიც სადღაც დაბაკარგავში — როდეზიაში. არავითარი კაპიტალი, არც ერთი პენი, არც შემოსავლის გაზრდის არავითარი შანსი, სულ ცოტა, ოთხი წლის განმავლობაში, არც გარეგნობითაა თვალმისასვლელი, დიდად ვერც ჩინებული ჯანმრთელობით დაიკვეხნის. აღმოსავლეთ აფრიკაში მუშაობამ ძალ-ღონე ისე გამოაცალა და გამოფიტა, იძულებული გახდა ექვსი თვით შვებულება აეღო. აქამდე საშინლად ფერმკრთალი, დღეს კიდევ უფრო ფერწასული ჩანდა, — ისე ფიქრობდა და თან წინ გადახრილი, სარკეში თავის სახეს თვალჩაცქიებით მიშტერებოდა. ღმერთო დიდებულო! ეს კიდევ რაღაა!

უცბად თმა მწვანედ აულაპლაპდა, ეშმაკმა დალახვროს! ყველა, ყველა და თმას მაინც რაღა გაუმწვანებდა. ეს უკვე მართლაც მეტისმეტი იყო. ამ დროს სარკეში მწვანე სხივი აციმციმდა. ფანჯარასთან მდგომი ხის ჩრდილი სარკეს ეცემოდა. რეჯი შებრუნდა, უჯრიდან პორტსიგარი ამოიღო, მაგრამ, როცა გაახსენდა დედამისი როგორ ჯავრობდა, როცა იგი საწოლ ოთახში ეწეოდა, პორტსიგარი ისევ უკან ჩადო და ნელი ნაბიჯით კომოდისაკენ გაემართა. არა, ჯანდაბას მისი თავი, საკუთარ თავზე ერთი მადლიანი სიტყვაც კი როგორ დასცდება მაშინ, როცა ის რო... ომ!.. რეჯი ელდანაკრავივით გ ა ქ ვ ა ვ დ ა, გულხელი დაიკრიფა და კომოდს მოწყვეტით მიეყრდნო.

და იმისდა მიუხედავად, რომ ენი მაღალ წრეში ტრიალებდა, მდიდარი მამა ჰყავდა, დედისერთა და ოჯახის ნებიერა ყველას უყვარდა და იმ არემარეზე ყველაზე უფრო გამორჩეული მშვენიერებით და გონიერებით ბრწყინავდა... არა, ეს გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ნიჭიერება, რეჯი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ამქვეყნად მისი ბადალი არავინ მოიძებნებოდა და მიუხედავად იმისა, რომ დედ-მამა ქალიშვილს აღმერთებდა, და ისიც თავის მხრიდან მშობლებს ეთაყვანებოდა, ისინი კი თავის ერთას ასე შორ გზაზე არამც და არამც არ გაუშვებდნენ... უწინამც, და მიუხედავად ამ ფიქრებისა, სულს ასე რომ უფორიაქებდა და წვრებს უწეწავდა, ისე თავდავიწყებით იყო შეყვარებული, რომ არ შეეძლო თავს მორეოდა და იმედი საბოლოოდ გადაეწურა. იყო კი ეს იმედი? თუ ეს გულისწამლები, მოკრძალებული და ამავე დროს, დაუოკებელი ცდუნება — მისი ყველა სურვილი შეესრულებინა, ეზრუნა რომ მას ცივი ნიავი არ მიჰკარებოდა, სწორედ სიყვარული იყო? ოოჰ, როგორ უყვარდა! კომოდს ორივე ხელი მძლავრად შემოაჭდო და წაიჩურჩულა — „მიყვარს, მიყვარს!" წამიერად წარმოიდგინა, რომ ენთან ერთად უმტალში მიემგზავრებოდა. ღამე იყო. ენს, კუთხეში მიმჯდარს, ჩასძინებოდა, ფაფუკი ნიკაპი მაქმანის რბილ საყელოში ჩაერგო, ოქროსფერი წამწამები ლოყაზე ეფინა. რეჯი მის პატარა, კოხტად ჩამოქნილ ცხვირს, მიმზიდველ ტუჩებს და ბავშვივით პაწაწინა ვარდისფერ ყურს, ოქროსფრად დაფერილი წაბლისფერი კულულიდან ოდნავ რომ მოუჩანდა — ნეტარებით აღვსილი თვალს ვერ აშორებდა. მათი გზა ჯუნგლებზე გადიოდა, ყველაფერი უკან დარჩა, ირგვლივ უკუნი სიბნელე გამეფებულიყო. საშინლად ცხელოდა. მერე ენს გაეღვიძა. „მეძინა?" — იკითხა მან. „ჰო" — უპასუხა რეჯიმ. „ხომ კარგად ხარ! შეიძლება?", — რეჯი წინ გადაიწია და მისკენ დაიხარა. მაგრამ ეს ისეთი ზღვარგადასული ნეტარება იყო, რომ ოცნების ძაფი გაუწყდა — ზმანება გაჰქრა. მაგრამ ამ ოცნებამ ისე გააგულადა, კიბე სულ ხტუნვა-ხტუნვით ელვის სისწრაფით ჩაირბინა, ჰოლში თავის ფართულებიან ჰილის

თარგმანი
ნანა კოპალეიშვილი-დარჩიაშვილისა.

ქუდს ხელი დასტაცა, „ცდა ბედის მონაბევრეა, ეს არის და ეს"-ო, ჩაილაპარაკა და სადარბაზოს კარი გაიხურა.

მაგრამ ფეხი გადადგა თუ არა, იმავ წამს, ბედმა ისეთი ოინი უყო, ხალისი მთლად წაერთვა. ბაღის ბილიკზე, ადამი და ევას დროინდელი ბებერი ძაღლების, ჩინის და ბიდის თანხლებით დედამისი მოსეირნობდა. რეჯინალდს დედა, რა თქმა უნდა, როგორც წესი და რიგია, ისე უყვარდა. შვილისთვის მას მხოლოდ კარგი სურდა და ასე ვთქვათ, არც თავდაჯერილობა და ზომიერების გრძნობა არ ღალატობდა. მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლებოდა, რომ ის საკმაოდ მკაცრი და პირქუში ქალბატონი იყო. სანამ რეჯის ბიძა ელიკი მოკვდებოდა და მისი ხილის ბაღი რეჯის მემკვიდრეობად დარჩებოდა, რეჯის ცხოვრებაში ხშირად ყოფილა ისეთი წუთები, როცა უფიქრია, რომ ახალგაზრდა ყმაწვილი კაცისათვის ქვრივი ქალის შვილობა მართლაც მძიმე სასჯელი იყო. ყველაფერს კიდევ უფრო ის ართულებდა, რომ რეჯის ამქვეყნად დედის გარდა არავინ გააჩნდა. დედამისი კი, გარდა იმისა, რომ რეჯის აღზრდისას მამის კუთვნილი უფლებამოსილებითაც სარგებლობდა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა რეჯი ცეროდენა იყო, მთელ თავის და ქმრის სანათესაოს წაეჩხუბა და გაემიჯნა... და როცა, იქ, შორს, სამშობლოს ნახვით გულდამძიმებული რეჯი ჩაბნელებულ ვერანდაზე იჯდა და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შესცქეროდა, გრამაფონი კი ბგოდებდა: „ძვირფასო ჩემო, არა არის რა ეს ცხოვრება უსიყვარულოდ!" — მის წარმოსახვაში გამოცხადებული ერთადერთი სახება იყო დედამისი, მაღალი და ტანწრული, თავისი განუყრელი ძაღლების ჩინისა და ბიდის თანხლებით, ენერგიული ნაბიჯით ბაღის ბილიკზე მომავალი...

ახლა დედამისი ხელგაწვდილი იდგა და სასხლავი მაკრატლით ყვავილების შემხმარ თავებს ტკაცუნით აჩხეპავდა. რეჯის დანახვაზე შედგა და თუმცა მშვენივრად ხედავდა, რომ რეჯი სადღაც მიდიოდა, მაინც ჰკითხა:

— რეჯინალდ, წვიმას ხომ არსად აპირებ?

— ჩაიზე დავბრუნდები, დედა, — ძლივს ამოღერღა რეჯიმ და ხელები ჯიბეებში ჩაიჩარა.

ტკაც, კიდევ ერთი ყვავილის გვირგვინი ჩამოვარდა. რეჯი კინაღამ შეხტა, საცოდავი, პაწაწინა ყვავილები. რა შავი დღე დაადგათ!

— მაინც სად მიდიხარ, არ შეიძლება დედაშენმა იცოდეს? მე მგონი, არაფერი გიჭირდა, ეს ბოლო დღე მაინც დედასთან გაგეტარებინა.

მადლობა ღმერთს, ყველაფერი უკან დარჩა. სანამ მისი ბაღი თვალს არ მიეფარა და პოლკოვნიკ პროქტერის სახლი არ გამოჩნდა — რეჯი არ შეჩერებულა. ახლა ნაბიჯი შეანელა და მხოლოდ მაშინღა შეამჩნია, რა მშვენიერი დღე იყო. დილით კი გადაულებლად წვიმდა, ზაფხულის მიწურულს რომ იცის, ისეთი თბილი, კოკისპირული წვიმა მოდიოდა, ახლა კი ზეცამ პირი შეიკრა, და მოწმენდილ კრიალა ცაზე, მხოლოდ იქეთ, ტყის ზემოთ, თითქოს იხვის ჭუკები მიცურავენო, გრძელ მწკრივად გაწოლილიყვნენ პაწაწინა ქულა ღრუბლები. მსუბუქი სიო ხეებიდან წვიმის უკანასკნელ წვეთებს წყვეტდა, ერთი თბილი წვეთი ხელზე დაეცა და პატარ-პატარა შხეფებად გაიფანტა. წკაპ? მეორე წვეთი ქუდზე დაიმსხვრა! თეთრად კიაფობდა წვიმით გადარეცხილი, ცარიელი შარაგზა, ღობეებიდან ასკილის სურნელი იფრქვეოდა, დიდი და ბრიალა ტუხტი ალისფრად ღვიოდა ბაღებში.

აი, პოლკოვნიკ პროქტორის სახლიც. ერთ წამში მოსულა. ხელი ჭიშკრის გასაღებად გაექცა და იდაყვით გადაჭენტილ ბუჩქს გამოედო. ყვავილის მტვერი და ფურცლები თოვლივით დააცვივდა სახელოზე. ცოტა უნდა მოიცადოს, სული მოითქვას. არა, ასე სიჩქარე არ ივარგებს. ყველაფერი კიდევ ერთხელ თავიდან უნდა აწონ-დაწონოს, დინჯად და აუჩქარებლად. მაგრამ უკვე ორივე მხრიდან ვარდის დიდი ბუჩქებით შემოჯარულ ბილიკს ალმა მიუყვებოდა. არა, ასე არ იქნება, ასე არ შეიძლება, ხელით კი ზარს ჩაეჭიდა და ისე გაშმაგებით დაუწყო რეკვა, თითქოს იქ იმის სათქმელად მივიდა, არიქა, სახლს ცეცხლი ეკიდება და უშველეთო. როგორც ეტყობა, მოსამსახურე იქვე, ჰოლში იყო, კარი წამსვე გაიღო და წყეული ზარი ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო, როცა რეჯი ცარიელ სასტუმრო ოთახში გამოკეტილი აღმოჩნდა. როიალზე ვიღაცის ქოლგა ეგდო. საოცარია, მაგრამ, როცა ზარი მიყუჩდა, ბინდით მოცულმა ფართე ოთახმა გამოაცოცხლა და შეაგულიანა. რა საოცარი სიმშვიდეა. სულ რაღაც ერთ წამში კი კარი გაიღება და საბოლოოდ გადაწყდება მისი ბედი. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს კბილის ექიმის კაბინეტში იჯდა. განსჯის თავი აღარ ჰქონდა. ნეტავ მალე მაინც დაადგებოდეს საშველი. სახტად დარჩენილს უეცრად საკუთარი ხმა შემოესმა, „რა იქნება, ახლა მაინც შემეწიო, ღმერთო"... ამან გამოაფხიზლა და კიდევ ერთხელ გაახსენა, რომ მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა. მაგრამ უკვე ძალიან გვიან იყო. კარის სახელური გადატრიალდა და ოთახში ენი შემოვიდა, მათ შორის ჩამოწოლილი ბინდი გადაკვეთა, რეჯის ხელი გაუწოდა და დაბალი, ნაზი ხმით უთხრა:

— ძალიან ვწუხვარ, რომ მამა შინ არ არის. დედაც ქალაქშია წასული ქუდის საყიდლად. მარტო მე ვარ დღეს თქვენი მასპინძელი, რეჯი!

რეჯიმ ღრმად ამოისუნთქა, ქუდი ჟაკეტის ღილებზე მაგრად მიიკრა და ენის ბორძიკით ძლივს ამოთქვა:

— კაცმა რომ თქვას, მე მხოლოდ... გამოსამშვიდობებლად მოვედი.

— ოჰ, რას ამბობთ, მართლა?" — ნაზად იკითხა ენმა. უკან დაიხია და თვალები აეციმციმა. — რა ძალიან მოკლე ვიზიტით მობრძანებულხართ!

ჯერ ყურადღებით შეათვალიერა რეჯი, მერე თავი დახარა და თავშეუკავებელი სიცილი წასკდა. კარგა ხანს იკისკისა, მერე რეჯის გაეცალა, როიალთან მივიდა, ზედ მიეყრდნო და ქოლგის ფოჩს დაუწყო თამაში.

— მაპატიეთ, — თქვა მან. ძალიან ვწუხვარ, ასე რომ ვიცინი. მე თვითონაც არ ვიცი, რა მემართება, რა მომდის. მართლაც საძაგელი ჩვეულება მაქვს. — მოულოდნელად [illegible]რისფერი ფეხსაცმლით იატაკზე დააბაკუნა და თეთრი შალის ჟაკეტის ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო.

— უნდა გადავეჩვიო, თორემ მართლა ძალიან სულელურად გამომდის.

— ღმერთმა ნუ ქნას, ამას რას ამბობთ, ენ, — შესძახა რეჯიმ. მე ისე მიყვარს თქვენი სიცილი. ვერც კი წარმომიდგენია, რა უნდა იყოს ამაზე უფრო...

სიმართლე კი ის იყო და ორივემ მშვენივრად იცოდა, რომ ენი ყოველთვის არ იცინოდა. მას ასეთი ჩვეულება სულაც არ ჰქონდა. მაგრამ იმ დროიდან მოყოლებული, რაც ერთმანეთი გაიცნეს, შეხვედრის პირველი წუთებიდანვე, რაღაც უცნაური მიზეზის გამო, რის ამოცნობასაც რეჯი ამაოდ ცდილობდა — ენს მის დანახვაზე ეცინებოდა. ნეტავ, რა აცინებდა? მნიშვნელობა არ ჰქონდა, სად იყვნენ ან რაზე ლაპარაკობდნენ. დასაწყისში ყოველთვის ორივე ძალიან სერიოზულად საუბრობდა, ყოველ შემთხვევაში, რეჯი მაინც ყოველთვის საშინლად სერიოზული იყო და აი, უეცრად, სრულიად უმიზეზოდ, რეჯის თვალს შეავლებდა თუ არა, ენს სიტყვა უწყდებოდა, სახე აუთრთოლდებოდა, თვალები აუციმციმდებოდა, ბაგეს გახსნიდა და თავშეუკავებლად აკისკისდებოდა.

უცნაური კიდევ ის იყო, რომ რეჯის აზრით, ენიმ თავად არ უწყოდა, რა აცინებდა, თუმცა ყველაფერი მის თვალწინ ხდებოდა. მოულოდნელად შებრუნდებოდა, წარბს შეიკრავდა, ლოყებს კბილებს შუა შეიკეცავდა და ასე ტუჩმოპრუწული, ხელების ფშვნეტას იწყებდა. მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. უცბად თავაწყვეტილი სიცილი წასკდებოდა და მისი წკრიალა, გაბმული კისკისი მაშინაც კი არ წყდებოდა, როცა ხელშეგუბებული სანდახან წამოიკივლებდა: ღმერთო, რა ვქნა, მე თვითონაც არ ვიცი, რა მაცინებსო. რეჯისათვის ეს მართლაც ამოუცნობ საიდუმლოდ რჩებოდა.

ენმა ცხვირსახოცი სახელოში მიმალა.

— დაბრძანდით, გეთაყვა! — თქვა მან. — მოწევას ხომ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინებებთ? სიგარეტები თქვენს გვერდით, პატარა ყუთში აწყვია. მეც მინდა მოვწიო. რეჯიმ ანთებული ასანთი გაუწოდა და, როცა ენი წინ გადმოიხარა, თვალი მოჰკრა მისი ბეჭდის მარგალიტზე ნამცეცა ალი როგორ აკიაფდა.

— თქვენ ხვალ მიემგზავრებით მგონი, არა? — ჰკითხა ენმა.

— დიახ, ხვალ უეჭველად უნდა წავიდე. — თქვა რეჯიმ და სიგარეტის კვამლი წვრილ ზოლად ნება-ნება გამოუშვა. ნეტავ, რატომ ნერვიულობს ასე ძალიან? არა, ეს ნერვიულობა კი არა კიდევ უფრო უარესი რაღაც იყო.

— ხვალ ჩემი წასვლა მართლაც ძნელი დასაჯერებელია, — თქვა რეჯიმ.

— ოჰ, რას მეუბნებით, მართლა ასე? — წყნარად თქვა ენმა, წინ გადმოიხარა და მწვანე საფერფლეზე სიგარეტის წვერს წვალება დაუწყო. რა მშვენიერი სანახავი იყო იგი ახლა, მართლაც მშვენიერი — ასეთი პაწაწინა რომ ჩანდა ასეთ ვეებერთელა სავარძელში. რეჯინალდს სიყვარულით გული შეეკუმშა, ქალის ხმა ასეთი ნაზი და საოცარი რეჯის თრთოლვით ავსებდა.

— ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მთელი ცხოვრება გიცნობდით, — თქვა ენმა.

რეჯინალდმა სიგარეტის კვამლი ღრმად შეისუნთქა.

— ახლა აქედან წასვლა მართლაც წარმოუდგენლად მძიმეა, — თქვა მან.

— კრრ, კრრ, კრრრრ...

— კრრ, კრრ, კრრრ, კრრრ! — გაისმა უცბად სიჩუმეში.

ენი ფეხზე წამოიჭრა.

— წამოდით, ჩემს მტრედებს გამოგიმწყვიდობეთ! — თქვა მან. — აქვეა, გვერდის ვერანდაზე არიან. ხომ გიყვართ მტრედები, რეჯი?

— ოჰ, უზომოდ, — ისეთი გზნებით წარმოთქვა რეჯიმ, რომ მინის კარი გამოაღო თუ არა, ენი ვერანდაზე გავარდა და კისკისი აუტყდა... რა თქმა უნდა, მტრედების გამო.

ვერანდაზე, წვრილად დაფუშვნილ მშვენიერ წითელ სილაზე სამტრედის წინ მტრედების წყვილი გადი-გამოდიოდა. ერთი ყოველთვის წინ უსწრებდა მეორეს. ერთი მათგანი წინ გაგოგმანდებოდა, თან დროდადრო ამოიღუღუნებდა, მეორე კი კვალში მისდევდა და მოწიწებით თავს უხრიდა.

— ხედავ. — აი ის, წინ რომ ჩიგოგმანებს, ქალბატონი მტრედია, — აუხსნა ენმა. — მოხედავს კავალერს და თანაც ჩუმჩუმად თავისთვის ეშმაკურად ჩაიცინებს ხოლმე. მერე ისევ წინ გაგოგმანდება, ეს საცოდავი კი უკან მისდევს და განუწყვეტლივ თავს უკანტურებს, რაც ქალბატონ მტრედს გულიანად აცინებს. საითაც არ უნდა გაექცეს ქალი, — სიცილით თქვა ენმა და ჩაიჩოქა, — კავალერი უკან გაეკიდება და მოწიწებით დაუხრის თავს... აი, ესაა მთელი მათი ცხოვრება, იცით, ისინი სხვას არაფერს აკეთებენ.

ენი წამოდგა და სამტრედეზე დადებული ტომრიდან ყვითელი მარცვლები პეშვით ამოიღო.

— იქ, როდეზიაში, ჩემი მტრედები როცა არ უნდა გაგახსენდეთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ისინი ამ საქმით იქნებიან გართულნი...

რეჯის თითქოს არც მტრედები დაუნახავს და არც ეს სიტყვები გაუგონია. ამ წამში მთელი არსებით დაძაბული, ცდილობდა როგორმე თავის გულის საიდუმლო ამოეთქვა და ენისათვის შეეთავაზებინა:

— ენ, როგორ ფიქრობთ, ოდესმე შესძლებთ ჩემს შეყვარებას?

ღმერთო, ეშველა, იმ წუთშივე შვება იგრძნო, წამიერი სიჩუმე ჩამოვარდა და რეჯინალდმა მხოლოდ ახლა დაინახა მზით გაცისკროვნებული ბაღი, ცისფერი მოლივლივე ცა, ვერანდის სვეტებზე მოშრიალე ფოთლები და ენი, ხელის გულზე სიმინდის ყვითელ მარცვლებს თითით რომ არჩევდა. უცბად ენმა ხელი მუშტად შეკრა და წყნარად წაიჩურჩულა: — არა, არასდროს!

მისი ხმის გაგონებისთანავე რეჯისათვის ახლად აღმოჩენილი სამყარო წამიერად დაბინდდა. სანამ იგი გონს მოეგებოდა, ენი კიბეებზე დაეშვა და ბაღში გავარდა. რეჯიც უკან მიჰყვა. ბილიკის გავლით, გაზონი გადაკვეთა და ვარდის გაშლილი ბუჩქების თალქვეშ დადგა. ენი მობრუნდა და რეჯის სახეში შეაცქერდა.

— არ იფიქროთ, მე თქვენ არ მიყვარდეთ! ძალიანაც მიყვარხართ! მაგრამ აი, ნამდვილად რომ უყვართ ხოლმე, ისე არა! — ენს თვალები გაუფართოვდა, სახე აუთრთოლდა, ბაგე გაეხსნა და მისი დაოკება უკვე შეუძლებელი იყო: — აი, ხედავთ? ხედავთ? — წამოიკივლებდა ხოლმე სიცილისას ენი. სულ თქვენი უჯრედებიანი ყელსახვევის ბრალია. აი ახლაც, ასეთ მნიშვნელოვან მომენტშიც კი, როცა სერიოზული უნდა ვიყო, თქვენი უჯრედებიანი ყელსახვევი სურათზე დახატული ფისუნების ყელზე შებმულ ბაფთას მაგონებს, და თავს ველარ ვიკავებ! რეჯი, გთხოვთ, გემუდარებით. მაპატიეთ ასეთი საძაგელი რომ ვარ!

რეჯი ენის პატარა, თბილ ხელს დასწვდა:

— რას ამბობთ, ენ, რა უნდა გაპატიოთ! განა რა დააშავეთ! მე მივხვდი, რაც არის თქვენი სიცილის მიზეზი. თქვენ ჩემზე იცინით. რა თქმა უნდა, ეს ასეა. თქვენ ხომ ჩემზე ბევრად უკეთესი ხართ, ასეთი ლამაზი და მშვენიერი. მე კი ასეთი უშნო და სახაცილო, მეც რომ...

— არა, არა, — ენმა ხელი ხელზე მაგრად მოუჭირა. ეს ასე არაა. ეს არ არის მართალი. მე სულაც არა ვარ თქვენზე უკეთესი, პირიქით, თქვენ ჩემზე ათასჯერ უკეთესი ხართ. ასეთი პატიოსანი, უანგარო, კარგი და კეთილი... მე, მე საძაგელი ხასიათი მაქვს, — თქვა ენმა. ძალიან გთხოვთ, ნუ გამაწყვეტინებთ და თანაც ეს არაა მთავარი. მთავარი ის არის, — ენმა თავი გააქნია: — მთავარი ის არის, რომ კაცს, რომელსაც დავცინი, ცოლად ვერ გავყვები. ვიცი, თქვენ გამიგებთ. კაცი, რომელსაც მე გავყვები... — ენმა ისე ამოიოხრა, გული ამოაყოლა და გაჩუმდა. მერე რეჯის ხელი გამოართვა და უცნაურად მეოცნებე თვალებით გაიღიმა. — ის, ვისაც მე ცოლად გავყვები...

რეჯის მოეჩვენა, რომ ვიღაც მაღალი, ლამაზი, უცნობი მათ შორის ჩადგა და რეჯი სულ მთლად დაჩრდილა.

— დიახ, ჩემთვის გასაგებია, — თქვა რეჯიმ ჩახლეჩილი ხმით.

— მართლა? — ასეც ვფიქრობდი. რა კარგია, რომ გესმით ჩემი. იცით, მე ისე, მიჭირს... ეს ჩემთვის ისე ძნელია, ვერც მითქვამს, რას განვიცდი. იცით, მე არასდროს... ენი გაჩუმდა. რეჯი თვალს არ აშორებდა. ენი იღიმებოდა. რა უცნაურია, გაცნობის პირველივე წუთიდან თავისუფლად შემიძლია ყველაფერი გიამბოთ.

რეჯიმ გაღიმება სცადა.

— მიხარია, თუ ეს ასეა, — ძლივს ამოღერღა. — თქვენზე მეტად არასდროს არავინ არ მომწონებია და არც არავისთან მიგრძვნია თავი ასე ბედნიერად, — განაგრძო ენმა. — მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს ის არ არის, რასაც სიყვარული ჰქვია, ის, რაზეც რომანებში წერენ. რეჯი, გესმით არა? ოჰ, ნეტავ იცოდეთ, თავი მძულს, ასე რომ გელაპარაკებით, მაგრამ ნამდვილად ვიცი, ცოლად რომ გამოგყვეთ, ამ მტრედებს დავემსგავსებით.

ამით უკვე ყველაფერი ითქვა, რეჯინალდმა იგრძნო, რომ ყველაფერი დამთავრდა. მაგრამ რაც გაიგო, ისეთი დაუნდობელი და მწარე სიმართლე იყო, აღარ იცოდა, თავს როგორ მოერეოდა.

— აღარ გვინდა ამაზე ლაპარაკი, — თქვა, შებრუნდა და სივრცეში დაიწყო ყურება. ირგვლივ ყველაფერი არარეალური ჩანდა. უცებ ყელის ტკივილი იგრძნო. ყელი გაუშრა. ნეტავ ლაპარაკს შესძლებდეს. შეეცადა, რაღაც ეთქვა.

— მე უნდა წავიდე, — ჩავარდნილი ხმით თქვა რეჯიმ და სწრაფი ნაბიჯებით გაეცალა. ენი დაეწია:

— არა, არა, ჯერ არ წახვიდეთ, ასე წასვლა არ შეიძლება, — ვედრებით წარმოთქვა ენმა. ნუთუ გგონიათ, ასეთ მდგომარეობაში გაგიშვებთ? ქვემოდან ახედა რეჯის და ტუჩების კვნეტა დაიწყო. — მაგრამ რა ვქნა, — გულხელი დაიკრიფა ენმა. — ხომ გრძნობთ რა გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდა, ჩვენ რომ დავქორწინებულიყავით?

— ჰო, ჰო, რა თქმა უნდა, — განაწამები სახით უპასუხა რეჯიმ.

— ღმერთო, რა საძაგელი, რა აუტანელი ვარ. მე იმის თქმა მინდა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა მტრედები

რომ ვყოფილიყავით, მაგრამ წარმოიდგინეთ...

— ჰო, რა თქმა უნდა, — თქვა რეჯიმ და ზილიკს დაადგა. ენმა იხევ შეაჩერა, ხახელოში ჩააფრინდა და რეჯის გახაოცრად, კი არ გაიცინა, პირიქით, პატარა ბავშვივით სატირლად გაეშალა:

— ჰო, მაგრამ თუ ყველაფერი გაიგეთ, რატომ ხართ ახე უბედური? — ამოიკვნეხა. რატომ განიცდით ახე ხაშინლად? რატომ არ გადევთ ხახეზე ფერი? რეჯიმ მაერი ღრმად შეიხუნთქა. — რა ვქნა, თავს ვერ ვერევი. ეს ჩემთვის მძიმე დარტყმა იყო. აი, ახლა თუ ერთმანეთს დავშორდებით, მე შევძლებ...

— რაო, დავშორდებითო? — გაწიწმატდა ენი. — ნეტავ როგორ მოგიბრუნდათ ენა მაგის ხათქმელად. — ენმა ფეხი დააბაკუნა, ხახეზე ყაყაჩოხფერი დაედო. როგორ შეგიძლიათ ახეთი შეუზრალებელი იყოთ? მე ვერ გაგიშვებთ, თუ არ დავრწმუნდი, რომ იხეთივე ბედნიერი ხართ, როგორიც იყავით, ხანამ ცოლობას მთხოვდით მანამდე. ეს უნდა გაიგოთ. ამის გაგება ხომ ახე ადვილია. ცოლად რომ ვერც გამოგყევით, მე მშვიდად როგორ ვიქნები, თუ თქვენ ახე უბედური ხართ. როცა წარმოვიდგენ, რომ თქვენ მარტო ხართ, ხულ მარტო, ხადღაც დახაკარგავში, და ეს ყველაფერი ჩემი ბრალია...

— არა, ეს თქვენი ბრალი არ არის. ნუ იფიქრებთ ამაზე. ეს ჩემი ბედია.

რეჯიმ ენის ხელი ხახელოდან მოიცილა და ხელზე აკოცა.

— ნუ გებრალებით, ჩემო ხაყვარელო, ჩემო კარგო, — თქვა რეჯიმ ალერხით ალხავსე ხმით და ამჯერად უკვე ენს ხირბილით გაეცალა.

კრრ... ქრრრრ... ქრრ... ქრრრრ... გაიხმა ვერანდიდან.

— რეჯი, რეჯი, — რეჯი შეჩერდა, მოიხედა. ენმა, როცა მიხი განაწამები და გაოცებული ხახე დაინახა, იხევ ხიცილი წასკდა.

— დაბრუნდით უკან, ბატონო მტრედო!

რეჯი მოტრიალდა, ძალაგამოცლილმა გაზონი გადაკვეთა და უკან, ბაღში შებრუნდა.




# ცისფერთვალება მოხუცი

**იური ვაჩნაძე**

შოუბიზნესის სამყაროში ძნელად მოიძებნება ფიგურა, რომელიც თავისი მნიშვნელობით და მომხიბვლელობით გაუტოლდება დიდ ამერიკელ საესტრადო მომღერალს ფრენკ სინატრას. „ცისფერთვალება მოხუცი“, როგორც მას ხშირად უწოდებენ, თავდავიწყებით უყვართ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. მის ხელოვნებას ოვაციებით ხვდებიან სტადიონებზე და საკონცერტო დარბაზებში, ხოლო ნიუ-იორკის ნებისმიერ რესტორანში და კაფეში, სუპერმარკეტებში. და პატარა მაღაზიებში დინამიკებიდან გამუდმებით ისმის მისი ხავერდოვანი ხმა.

ფრენსის ალბერტ (ფრენკ) სინატრა დაიბადა 1915 წლის 12 დეკემბერს ნიუ-ჯერსის შტატის პატარა პროვინციულ ქალაქ ხოუბოკენში, იტალიური წარმოშობის მეხანძრის ოჯახში. მოზარდი ფრენკი სკოლაში სწავლის პერიოდში იღებდა სიმღერის გაკვეთილებს კლუბში, მღეროდა საცეკვაო მოედნებზე. 1933 წელს იგი იწყებს მუშაობას გაზეთების დამტარებლად. ფრენკ სინატრას ზოგიერთი ბიოგრაფი დღესაც შეცდომით წერს, რომ მათი კერპი ახალგაზრდობაში თითქოს გაზეთის რეპორტიორად მუშაობდა. 1936 წელს ფრენკმა პირველად მოუსმინა ბინგ კროსბის

და გადაწყვიტა, მომღერალი გამხდარიყო. ფრენკ სინატრა არსებითად აგრძელებს და ავითარებს იმ მიმდინარეობის ტრადიციებს, რომლის ფუძემდებლადაც ბინგ კროსბი გვევლინება.

სამ მეგობარ მუსიკოსთან ერთად ფრენკი აყალიბებს თვითმოქმედ ორკესტრს და გამოდის კონცერტებით ხოუბოკენში და ნიუ-იორკში. შემდეგ მუშაობს მიმტანად და ამავე დროს მომღერლად ნიუ-იორკის ერთ-ერთ იტალიურ რესტორანში. მისი გასამრჯელოა კვირაში თხუთმეტი დოლარი. ამ რესტორანში მოუსმენს მას ცნობილი ჯაზმენი მესაყვირე, ორკესტრის ხელმძღვანელი ჰერი ჯეიმსი, სდებს მასთან კონტრაქტს ორი წლის ვადით და უკვე კვირაში სამოცდათხუთმეტ „ბაქსს“, ანუ დოლარს უხდის. ამის შემდეგ დგება მეტრამბონე ტომი დორსის ჯერიც. ტომი დორსი ფრენკ სინატრას თავის ორკესტრში გადაიბირებს და მისი ჰონორარი უკვე ორასორმოცდაათ დოლარამდე იზრდება. აი, ასე დაიწყო ფრენკ სინატრას თავბრუდამხვევი კარიერა. ფრენკ სინატრა მღერის სიმღერებს: „მე არასოდეს გავიღიმებ“, „დღე და ღამე“ და სხვა.

1942 წლიდან ფრენკ სინატრა უკვე სოლო კონცერტებით გამოდის. დიდი წარმატებით სარგებლობს მისი გამოსვლები ნიუ-იორკის თეატრ „პარამაუნტში“. ამავე წლებში მომღერალმა დააარსა საკუთარი რადიოპროგრამა — „სინატრას სიმღერები“, რომელიც უზარმაზარი პოპულარობით სარგებლობდა, განსაკუთრებით — ქალებში.

1943 წლიდან იწყება სინატრას კინოკარიერა. მას იღებენ ფილმში — „ჰაიერ ენდ ჰაიერ“, რომელშიც აღწერილია მეორე მსოფლიო ომის ამბები. ორმოცდაათიან წლებში ფრენკის პოპულარობის მრუდი ოდნავ დაბლა იწევს, მაგრამ დროებით. კინოსურათმა „გზა მარადისობისაკენ“ მას მოუტანა მსოფლიოს კინოს ყველაზე პრესტიჟული ჯილდო — „ოსკარი“.

ამ დროიდან ფრენკ სინატრა მსოფლიო შოუბიზნესის უცვლელი ლიდერია. დღეისათვის მას უკვე ორმოცდაათამდე ფილმში აქვს მიღებული მონაწილეობა.

ფრენკი პატრიარქი და თავისებური წინამძღოლია კლანისა, რომელშიც თავის დროზე შედიოდნენ მსახიობები და მომღერლები: სემი დევისი, დინ მარტინი, შარლი მაკლეინი, კინორეჟისორი ბილი უაილდერი. თითქმის ყველა დიდ ხელოვანთან მას ნამდვილი ადამიანური მეგობრობა აკავშირებს. ფრენკმა გაიღო ხარჯები, როცა გარდაიცვალა ლაიზა მინელის დედა, ცნობილი მსახიობი და მომღერალი ჯუდი გარლანდი, ხოლო სემი დევისის გარდაცვალებისას გააუქმა თავისი კონცერტების სერია, რაც ამერიკისათვის ყოვლად მიუღებელია.

სინატრა ძალიან მდიდარი კაცია. იგი არის უამრავი ოტელის, ღამის ბარის, რესტორნისა და კაზინოს მფლობელი. ერთ დროს მის „იმპერიაში“ შედიოდა გიგანტური ხმის ჩამწერი სტუდია „რიპრაიზი“.

მთავარი კი ის იყო, რომ ყველა საქმიანობის მოთავე, სულისჩამდგმელი და დამფინანსებელი იყო განუმეორებელი ფრენკი.

თავის წიგნში „ჰოლივუდი ჩემოდანში“ სემი დევისი იხსენებს, რომ 1960 წელს ლას-ვეგასში გასტროლების დროს სინატრამ ქალაქს მეტი შემოსავალი მისცა, ვიდრე სამმა კონვენტმა (პარტიულმა ყრილობამ). ათასობით მაყურებელი ყოველ საღამოს ავსებდა „სენდს კაბარეს“ დარბაზს, სადაც ფრენკთან ერთად გამოდიოდნენ სემი დევისი, დინ მარტინი, ჯოი ბიშოპი და კენედის სიძე, პიტერ ლოუფორდი (ეს უკანასკნელი შემდგომში მერილინ მონროს თვითმკვლელობის არასასიამოვნო ისტორიაში აღმოჩნდა გახვეული).

რვა კვირის განმავლობაში „სენდს კაბარე“ ამერიკის შოუბიზნესის ცენტრად იქცა. დღისით სინატრა დაუღალავად მუშაობდა — მას იღებდნენ კინოში, იგი ხელმძღვანელობდა ბიზნესს, წარმოდგენის შემდეგ კი მის აპარტამენტებში იმართებოდა ხმაურიანი საღამოები მსახიობებისა და მოცეკვავეების მონაწილეობით, სტუმრები თამაშობდნენ ბანქოს (სხვათაშორის, „შოუბიზ“-ში მოცეკვავეებს „ბოშებს“ უწოდებენ).

ოტელის ადმინისტრაციამ, სადაც ცხოვრობდა სინატრა, მიუჩინა მას რვა! მცველი მხოლოდ იმისთვის, რომ მომღერალს საშუალება მისცემოდა, თავისუფლად გამოსულიყო სასტუმროდან, „დაეძლია“, ასე ვთქვათ, თაყვანისმცემელთა ცოცხალი ჯებირი.

სინატრა ბუნებით ლიდერია, იგი კრუხივით იცავს თავის მეგობრებს და კოლეგებს — ასეთია ერთსულოვანი აზრი, რომელიც მისი თანამედროვეების მემუარებში მეორდება.

სინატრას საყვარელი კომპოზიტორებია ჰოგი ქარმაიკლი და სემ კანი, ხოლო მეარანჟირეებიდან იგი უპირატესობას ანიჭებს დონ კოსტას, ნელსონ რიდლს და გორდონ ჯენკინს. სხვათაშორის, შოუბიზნესში არანჟირების ხელოვნებას ეკუთვნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი როლი. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ საქართველოში ამჟამად თითქმის არ არის ამ პროფესიის მაღალი ოსტატები.

საინტერესოა სინატრას ამჟამინდელი საშემსრულებლო მანერა. ფრენკს მშვენივრად ესმის, რომ მის ასაკში შოუბიზნესის ასპარეზზე მოღვაწეობა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ალბათ, ოდნავ სასაცილოა, როდესაც ღრმად მოხუცებული კაცი სიყვარულზე მღერის. სამაგიეროდ, მან მოძებნა საინტერესო შემოქმედებითი ხერხი — ლირიკული სიმღერების ტექსტი თითქოსდა გასხვისდა, ოდნავ ირონიულად აჟღერდა, ახალი ნიუანსებით შეივსო.

საკმაოდ საინტერესოა სინატრას პირადი ცხოვრება. ფრენკის მეუღლეები იყვნენ: ნენსი ზარბატო, ავა გარდნერი, მია ფაროუ. თავის დროზე საკმაოდ გახმაურდა მისი რომანი მერილინ მონროსთან. მისი სამი შვილიდან გამოირჩევა ნენსი, რომელმაც მოიხვეჭა გარკვეული პოპულარობა, როგორც მომღერალმა.

პოლიტიკურ წრეებშიც ხშირად ახსენებენ ფრენკის სახელს. იგი ყველა თანამედროვე პრეზიდენტის მეგობარი იყო — აიზენჰაუერიდან ბუშამდე. თეთრ სახლში იშვიათად იმართება მიღება, ფრენკ სინატრა რომ არ მონაწილეობდეს.

ავი ენები ამბობენ, რომ ფრენკი მაფიოზია. შესაძლებელია. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ ღმერთმა გვიმრავლოს მსგავსი მაფიოზები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

КОНТРОЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

# კროსვორდი



თარაზულად: 5. მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც უმაღლესი ხელისუფლება მთლიანად და განუყოფლად ეკუთვნის ერთ პირს, მონარქს; 8. შემოკლებული ხელმოწერა, ინიციალები; 10. მწკრივის, მწყობრის, ფრონტის რომელიმე მხარე; 12. მხლებლები; 14. შუმერთა მზის ღვთაება; 15. ძველებური ქართული გუნდური შეჯიბრება ცხენოსნობაში; 16. აზიის სახელმწიფო; 17. მოკლე დისტანციაზე სირბილი, ცურვა; 20. ჯადო; 22. ნადიმი, წვეულება; 23. ავი სული, ეშმაკი; 27. გერმანელი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი, ჟურნალ „გეორგიკის" რედაქტორი; 29. დადგენილი საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; 31. გახეხილი კარტოფილის, ბოსტნეულისა, ან ხილისაგან მომზადებული საჭმელი; 33. რისიმე განვითარების საფეხური, პერიოდი; 35. დუმფარასებრთა ოჯახის წყლის მცენარე; 36. ფინლანდიელი მორბენალი, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი საშუალო და გრძელ დისტანციებზე; 37. გარკვეული ფორმის მიხედვით შედგენილი გამოსაკითხავი ფურცელი; 38. ხელოვნება, რომელიც მდგომარეობს მსახიობის მიერ დრამატული მოქმედებით ცხოვრების მხატვრულ განსახიერებაში; 39. ორი ერთმანეთის საპირისპირო შესაძლებლობიდან ერთ-ერთის არჩევის აუცილებლობა.

შვეულად: 1. სამხედრო საჭურველი, იარაღი; 2. ფრანგი მწერალი; 3. მქრქალი ფაიფური; 4. ერთი ხელობის ოსტატ ხელოსანთა გაერთიანება; 6. მზა სანოვაგითა და წვრილმანით მოვაჭრე ძველად; 7. დასავლეთ საქართველოს ძველი ქართული სახელწოდება; 9. მე-18, მე-19 საუკუნეების ქართველი პოეტი და კალიგრაფი, პოემა „დილარიანის" ავტორი; 11. გრძელი, დაბალი მოწყობილობა ავანსცენის გასწვრივ; 13. სამოთხე; 18. აზერბაიჯანელი დირიჟორი; 19. რაიმე სპორტული ვარჯიშების ცალკეული მოძრაობა; 20. ქართველი მხატვარი; 21. მდინარე საფრანგეთში; 24. ირლანდიელი ფეხბურთელი; 25. ცალკე პიროვნების ან დაწესებულების ანაბარი საზღვარგარეთის ბანკში; 26. ციხე-სიმაგრე და ქალაქი შუა საუკუნეების სომხეთში; 28. ფრანგი მოქანდაკე; 30. პირობითი ახოთი ნიშანი; 31. უებარი საშუალება, რომელიც თითქმის ყველა შემთხვევაში შველის ადამიანს; 32. მსაზღვრელი სიტყვა, რომელიც დაერთვის საგნის ან მოვლენის სახელს და გახაზავს მის დამახასიათებელ თვისებას; 34. ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის გავრცელების არე; 35. საქართველოს მდინარე.

შეადგინა ციალა ამაშუკელმა.


**რედაქციის მისამართი:**
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარის — 99-54-66; პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებათა გამგეების — 93-28-42; რედაქციის სამდივნოსი — 99-01-89.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

გადაეცა წარმოებას 9.03.93. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14.05.93. ქაღალდის ზომა 60×90 1/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 4. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,8. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,29. ტირაჟი 10 000. შეკვეთა 354. ფასი 10 კუპონი

Ежемесячный независимый общественно-политический и литературно - художественный журнал «Дроша» (на грузинском языке). 390096, Тбилиси, ул. Костава, 14. Типография газетно-журнального издательства «Самшобло». Адрес редакции: 380008 Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

ეროვნული
ბიბლიოთეკა




ინდექსი 76056
რასაც დათესავ,
იმას მოიმკი!